პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
სამშაბათი
19 მაისი
№ 116 (18058)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის გახსნის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშრომელებისა და საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენელთა მონაწილეობით

გაიმართება ქალაქ თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში 1981 წლის 22 მაისს დილის 11 საათზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საზეიმო სხდომაზე ჩამოსული სხვა მონაწილეების რეგისტრაცია იწარმოებს 20 და 21 მაისს 10-დან 18 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, 22 მაისს დილის 9 საათიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავი

ე. ა. შევარდნაძე,

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოხსენება

ამ დღეებში აღვნიშნავთ ჩვენი ისტორიის ყველაზე ნათელ ფურცელს: 60 წლის წინათ საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, შეიქმნა რესპუბლიკის კომუნისტური პარტია.

საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის დაბადების დღე ყველა საბჭოთა ადამიანის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული გახდა: ჩვენი ზეიმი — ეს არის მთელი დიადი და მძლავრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, საბჭოთა ხალხების მთელი იმ ერთსულოვანი და შეკრული ოჯახის ზეიმი, რომლის განუყოფელ შემადგენელ ნაწილსაც ჩვენ წარმოვადგენთ.

ჩვეულებრივ, რა დიდებულად ეღერს ჩვენი, ძირითადი კანონი — საქართველოს სსრ კონსტიტუციის სტრიქონები:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის“.

გავა საუკუნეები, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვლის, იმ ისტორიული დღის ხსოვნას, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა, თაობები სასოებით გადასცემენ ერთმანეთს. ლენინური დროშის უსაზღვრო ერთგულებამ, პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, საბჭოთა ხალხების მეგობრობამ და ძმობამ საქართველოს ნამდვილი აღორძინება მოუტანა. ოქტომბრის ყოვლისშემძლე ნთელმა სხივმა გააპო საუკუნო ყინული, გამოიყვანა ჩვენი ხალხი საზოგადოებრივი პროგრესის გზაგზაზე და მტკიცედ, სამარადჟამოდ დაუკავშირა მისი ისტორიული სვე-ბედი დიდი რუსი ხალხის ბედს, ახალი, სოციალისტური ცივილიზაციის აქტიური შეუერთებელ — საბჭოთა კავშირის სოციალისტური ერების მთელი თანამეგობრობის ბედს.

თავის ახლანდელ იუბილეს საბჭოთა საქართველო სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში შეხვდა.

სკკპ XXVI ყრილობამ — მსოფლიო-ისტორიული მასშტაბისა და მნიშვნელობის მოვლენამ — დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა ხალხის ისტორიული მიღწევები, პარტიის ურღვევი ერთიანობა, მისი განუყრელი კავშირი მასებთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა ყრილობაზე, წარმოადგენს შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უთვალსაჩინოეს დოკუმენტს, ახალ მნიშვნელოვან წვლილს მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში.

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი, რომელთა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობას, რომელთა თავდადებულ შრომას ღირსეული შეფასება მიეცა ქვეყნის კომუნისტთა უმაღლეს ფორუმზე, განსაკუთრებული მადლიერებით ვეკიდებით ჩვენი ლენინური პარტიის ტიტანურ საქმიანობას. რესპუბლიკის მშრომელნი მთელ თავიანთ მიღწევებში, მთელ თავიანთ წარმატებებში ნათლად ხედავენ თუ რა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი შეუნელებელი ყურადღების, მათი კომუნისტების საქმეებსა და საზრუნავში ღრმა წვდომის ლენინური ტრადიციის პრაქტიკული განხორციელება.

სკკპ XXVI ყრილობაზე ამ პრინციპმა, ამ ტრადიციამ ახალი შთამბეჭდავი დადასტურება პოვა.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მჩქეფარე აღმშენებლობითი მუშაობაა გაჩაღებული. მთავარი მიზანი, რომელსაც ისახავს საბჭოთა საქართველოს თითოეული კომუნისტი, თითოეული მშრომელი, ის არის, რომ პირნათლად შეასრულონ ყრილობის წინასწარდასახულნი-ბანი, საქმით, თავდადებული, შემოქმედებითი შრომით გაუმართონ მაღალი ნდობა პარტიას, არ დასჯერდნენ მიღწეულს, განაგრძონ განუხრელი წინსვლა, იღვაწონ მეტის მოსაპოვებლად, განამტკიცონ ქვეყნის ძლიერება.

I.

...რომელ ჩვენგანს, ჩვენი რესპუბლიკის — მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და უძველესი კულტურის, გმირული ისტორიისა და ალალი, ყველასათვის გულღია მხარის შვილებს არ უნატრია, ერთხელ მაინც ამიყვანა ისეთ მწვერვალზე, საიდანაც მთელ საქართველოს ხელისგულივით დაგინახავდით?

როგორი წარმოგვიდგებოდა იგი ახლა?

მტკიცედ მოაბიჯებს ჩვენს მიწაზე მშრომელი კაცი. აი, იგი ბოლოჭარ, თავნება მდინარესთან შეჩერდა და აზვირთებულ დინებას ენიკალური თაღოვანი კაშხალით გადაუღობა გზა. იქ კი, ზემოთ, დიხეების აყოლებით, უკვე აკაშკაშებულა ელექტროშედუღების თვალისმომჭრელი ჩირაღდნები —მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მთელი კასკადი შენდება. ციმციმებს ცისფერი ეკრანები ოდესღაც სამყაროს მოწყვეტილ სვანეთის სოფლებში. მოკაზმულ ზოლად მიიკლაკნება ავტომაგისტრების კოლონა — ავტომობილმშენებელთა ქალაქი ქუთაისი გზას ულოცავს კონვეიერიდან ახლახან გადმოსულ მანქანებს, რომლებიც ხვალ მოსკოვის ოლქის, უკრაინის, ლიტვის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ესტონეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირველ ტკბილ მიიღებენ... ზღვის ტალღებს სერავს წყალქვეშაფრთიანი ხომალდი —იგი ფოთის გემსახრიჩებიდან ჩამოვიდა. რუსთავის ბრძმედებისა და მარტენების ცეცხლოვანი ათინათი, ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურის შახტებისა და მაღაროების თავზე ალისფრად ელვარე მაღაროელთა დიდების ვარსკვლავები, სუფთა და კრიალა, მწვანეში ჩაფლული ქართული მანგანუმის ქალაქი ზესტაფონი, თბილისის ახალი საცხოვრებელი უბნების ცადაწვდილი სართულები —ყოველივე ეს დღევანდელი საქართველოა.

ალერსიანად, სანდომიანად უღიმის დედამიწა მშრომელ კაცს, რომელიც მტკიცედ მოაბიჯებს, ბარაქიანი აღმონაცენით უფაფსებს ზრუნვასა და ამაგს. კოლხეთის ოდესღაც გაუვალი ჭაობების ადგილას აყვავებული ციტრუსისა და ჩაის პლანტაციები, ვაზის რქასავით დაგრეხილი ალაზნის ზურმუხტოვანი კლაკნილი, კახეთის რთველს მორგებული ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა, ქართლის დახუნძლული ხეხილის ბაღები, კავკასიონის კალთებს შეფენილი თეთრი ფარები, სუფთა, მოვლილი ფერმები — ყოველივე ეს დღევანდელი საქართველოა.

ძველთაძველ გალავნებთან მჩქეფარე ახალი ცხოვრება, სახალხო უნივერსიტეტები და აკადემიები სახელმწიფოს მიერ სათუთად დაცული ისტორიისა და კულტურის ძეგლების თაღებქვეშ, ხალხურ მოქმედთა კაფიაობა და შეჯიბრებანი, მასობრივი სახალხო დღესასწაულები, რომლებზეც ძმობასა და მეგობრობას უმღერიან, მეცნიერების ღონიერი ნაბიჯი, ქართული ხელოვნების ტრიუმფი სამშობლოში და საზღვარგარეთ — ესეც ისევ დღევანდელი საქართველოა.

1981 წლის საქართველოს იერსახეში თვალნათლივ გამოსჭვივის კომუნისტური მერმისის ნაკვთები, და როცა დღევანდელ სოციალისტურ ამოცანებს ვწყვეტთ, ჩვენ თანდათან გვითენდება დღე ხვალინდელი — კომუნისტური დღე.

ასეთი გახლავთ ისტორიული განვითარების ლოგიკა, ასეთი გახლავთ განვითარებული სოციალიზმის ლოგიკა და საბჭოთა საქართველო, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად, განუხრელად მისდევს ცხოვრებით და პარტიის კოლექტიური გამოცდილებით შემოწმებულ ამ ლოგიკას.

ისევე როგორც მთელმა ქვეყანამ, საბჭოთა საქართველომ ექვსი ათწლეულის მანძილზე საუკუნეთა სადარი გზა გამოიარა. როგორც ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა ბრძანა, ექვსი ათწლეული — ეს ერთი ადამიანის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ნაკლებია. მაგრამ ჩვენ, სისხლმა და ხორცმა ღვიძლი ქვეყნისამ, რომელნიც მასთან ერთად ვიყავით ჭირსა თუ ლხინში, ვიზიარებდით მის სვე-ბედს, შევძელით ამ მოკლე დროში ახალი ცხოვრება აგვეშენებინა, პრიმიტიული თოხდან და ხის კავიდან კოსმოსურ კვლევაზე გადავსულიყავით და ხალხისათვის შემოქმედებითი ძალების სრული გამოვლენის უკიდეგანო სარბიელი შეგვექმნა.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა საქართველოში ექვსი ათწლეულის მანძილზე შეიქმნა ახალი საზოგადოება, რომლის სადარი არ ახსოვს კაცობრიობის ცივილიზაციას —უკიზოსო ეკონომიკის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის საზოგადოება, ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დემოკრატიის, განუწყვეტელი პროგრესის, ნათელი მომავლისადმი მტკიცე რწმენის საზოგადოება.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა საქართველოში ექვსი ათწლეულის მანძილზე მტკიცედ დამკვიდრდა სოციალისტური ცხოვრების წესი, რომელიც აერთმთლიანებს კოლექტივიზმსა და ამხანაგობას, ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირებას და მეგობრობას, განასახიერებს კომუნიზმის მშენებელთა ზნეობრივ სიჯანსაღეს, სულიერ ძალასა და სიმტკიცეს. ახალი, კომუნისტური ფორმაციის ადამიანის აღზრდაში ქართველ კომუნისტებს ძალას მატებს და ზნეობრივ მაგალითს აძლევს ჩვენი პარტიის მებრძოლი შტაბის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის —ლენინისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სქემის გამოჩენილი განმგრძობის, ხალხთა ლენინური მეგობრობის დაუცხრომელი ქომაგის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ტიტანური მოღვაწეობა.

ეს შეკავშირება და შემდგომი წინსვლის ახალ-ახალ წარმატებათა მიღწევის ეს მტკიცე გადაწყვეტილება ცხადყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ. მეათე ხუთწლედს რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე ეწოდა ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა საქართველოს მთელ ისტორიაში, ხოლო განვლილ ათწლეულს— უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ხანა.

„საქართველოში საქმე კარგად მიდის,— თქვა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, —და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზზეა ახალი წარმატებების მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედში“.

საქართველოში საქმე კარგად მიდის — ეს საქართველოს სსრ მშრომელებისათვის პარტიის ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვის შედეგია, ეს შედეგია ზრუნვისა ყველა მისი ავტონომიური ერთეულის ჰარმონიული განვითარებისათვის, რომელებსაც დღეს ნამდვილი აყვავების ჟამი დაუდგათ. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურული დაწესებულებების მშენებლობა, გაჰყავთ ახალი გზატკეცილები, ვითარდება კურორტები, უდიდესი ცვლილებები ხდება სოფლად. საქართველოს კომპარტიის ცხოველი ყურადღება მთლიანად ეროვნული კულტურებისა და, კერძოდ, ეროვნული ენების შემდგომი განვითარებისადმი, ავტონომიური ერთეულების ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სულ უფრო მზარდი წვლილი ერთიან საბჭოთა სოციალისტურ კულტურაში უზრუნველყოფს ამ რეგიონების მშრომელთა სულიერი ცხოვრების დონის უმაგალითო ამაღლებას, ხელს უწყობს რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ერისა და ეროვნების ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას, სრული ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებას.

სულ ახლახან ჩვენმა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლის თავი, მაგრამ რა შორს წავიდა ჩვენი სახელმწიფო კომუნიზმისაკენ. ჰოდა, მეხსიერებას უნებურად გადავყავართ საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილების პირველ წლებში. პეტროგრადისა და მოსკოვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა უკრაინაში, ბელორუსიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში...

მთელ სოციალისტურ ოჯახთან ერთად საბჭოთა საქართველომ ზეიმით აღნიშნა მოძმე რესპუბლიკების მე-60 წლისთავი და დღეს ჩვენი ჯერია ვუმასპინძლოთ ძვირფას სტუმრებს—ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმოგზავნილთ.

„კავკასიონის მარადიული ჭალარით მოსილი მთები არასოდეს არ მოსწრებია მასობრივი სოციალური შემოქმედების ასეთ აღმაფრენას, ხალხის გულის სიღრმიდან მომდგარ სწრაფვას სინათლის, თავისუფლებისა და პროგრესისაკენ! ისტორიულად მოკლე ვადაში რუსეთის იმპერიის ყოფილი ნახევრად ფეოდალური განაპირა ზონა გადაიქცა თანამეროვე მრეწველობისა და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სახელმწიფოდ, მთლიანი წიგნიერების, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკად“.

ეს სიტყვები საბჭოთა საქართველოზე თბილისში ბრძანა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ისტორიულად მოკლე ვადაში... არათუ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის, ზოგჯერ ჩვენთვისაც კი ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ რთულ პირობებში უხდებოდათ პირველმკვალავებს სოციალიზმის დიადი მშენებლობის დაწყება. უფრო ხშირად და ყურადღებით უნდა ჩავუკვირდეთ ამ, უკვე ქამთასვლის ჯანღით დანისლულ მოვლენებსა და სახეებს, უფრო ხშირად და ყურადღებით უნდა ჩავუკვირდეთ დიად დამარჯვებათა სათავეს, რათა უფრო რელიეფურად, გამოკვეთილად, მკაფიოდ წარმოჩნდეს მომავლის ჰორიზონტები.

II.

1920 წლის —სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა წლის დამდეგს დღის წესრიგში დადგა საკითხი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელთა უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისა თავიანთი ანტიხალხური მთავრობების წინააღმდეგ. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს, კომუნისტური ინტერნაციონალისა და წითელი არმიისადმი მიმართვაში, რომელიც მარტში მიიღო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, ნათქვამი იყო:

„...ჩვენ აღარ გვინდა მონებად დავრჩეთ, მეტადრე ახლა, როდესაც გვერდით გვიდგას განთავისუფლებული რუსეთის პროლეტარიატი, რომელთან ერთადაც გვინდა შევიდეთ ერთიან პროლეტარულ ინტერნაციონალურ ოჯახში.

ჩვენ მტკიცედ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ საბჭოთა მუშურ-გლეხური რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და მამაცი წითელი არმია გაერთიანებული შავ-ყვითელი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ჩვენი უთანასწორო ბრძოლის გულხელდაკრეფილი მაყურებელნი არ იქნებიან და აქტიურად დაგვეხმარებიან განთავისუფლდეთ კაპიტალის ბატონობისაგან“.

ამ ისტორიულ დოკუმენტს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციათა სახელით ხელს აწერდნენ კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები ფ. მახარაძე, ა. ნაზარეტიანი, მ. გუსეინოვი, ე. ეშბა, ლ. ღოღობერიძე, ე. კვანტალიანი, ა. ბეკზადიანი, გ. სტუროა, ს. კასიანი. კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრებთან ერთად მიმართვას ხელი მოაწერეს ს. ქავთარაძემ, ა. ყარაევმა, ნ. ლაკობამ, ა. მრავიანმა, გ. სულთანოვმა, ს. ხანიანმა, მ. ცხაკაიამ.

ამიერკავკასიის მშრომელთა ხმა უყურადღებოდ არ დარჩენილა. 1920 წლის 28 აპრილს ლენგენდარული მე-11 წითელი არმიის ნაწილები აზერბაიჯანის მშრომელებს დაეხმარნენ გაენადგურებინათ მუსავატელთა ბანდები და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება. 1920 წლის ნოემბრის დამლევს საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა სომხეთშიც. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ დაჩქარა სოციალისტური რევოლუციის განვითარება საქართველოში. მენშევიკური მთავრობას კრიზისული მდგომარეობა შექმნა. ამ ვითარებაში მან გადადგა ავანტიურისტული ნაბიჯი, რომლის მიზანი იყო რევოლუციური, ბოლშევიკური ძალების სრული განადგურება.

ამასობაში კი მენშევიკური საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესაბამისად ლენგალიზებულმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა სწრაფად იწყეს გაერთიანება საქართველოს კომუნისტური პარტიის შესაქმნელად, რაც მათ უფლებას ამხარდაჭერას უწევდნენ მშრომელთა მასები.

1920 წლის 20 მაისს საქართველოს კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის დაფუძნება საქართველოს კომპარტიის შექმნას ნიშნავდა. ეს აქტი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში საგანგებო პოლიტიკური მოვლენა გახდა.

ამის შემდეგ, 1920 წლის 22 მაისს, შეიქმნა საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის დროებითი ცენტრალური კომიტეტი. ამით დამთავრდა საქართველოს კომკავშირის ჩამოყალიბება, რომელსაც იმ დროისათვის უკვე პროლეტარული ბრძოლის, ახალგაზრდობის რევოლუციური აღზრდის სახელოვანი ტრადიციები ჰქონდა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის პირველმა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციამ „სპარტაკმა“, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს დაარსდა, და მისმა მგზნებარე ორგანიზატორებმა ბ. ძნელაძემ, გ. დევდარიანმა, დ. კაჭარავამ, ა. ამირბეკოვმა, ი. ინოიდიმ, ი. ოკოევმა და სხვებმა.

ამავე დროს საქართველოს მოსახლეობა მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში თვალნათლივ დარწმუნდა მის ეკონომიკურ უმწეობაში, სოციალურ არათანამიმდევრულობასა და პოლიტიკურ ავანტიურიზმში, რაც იმით გამოიხატა, რომ მიწა-წყალზე, რომელზეც რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ გადამთიელ დამპყრობს არ გაუჭაჭანია, უცხოელი ინტერვენტები მოიხმეს.

თანდათან ივსებოდა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის მოთმინების ფიალა, მენშევიკური მთავრობა არც ერთ თავის დანაპირებს არ ასრულებდა.

ამ და მთელმა რიგმა სხვა ფაქტორებმა განაპირობეს მშრომელთა მასების მზარდი რევოლუციურობა, მათი ბუნებრივი ლტოლვა საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატისადმი.

თავისი ავანტიურისტული გეგმების შესაბამისად მუხანათური მენშევიკური მთავრობა მასობრივად აპატიმრებდა ბოლშევიკებს, არბევდა სტამბებს, სადაც ბოლშევიკური გამოცემები იბეჭდებოდა, ტყვია დაუშინა ალექსანდრეს ბაღში მშვიდობიან მიტინგზე შეკრებილ თბილისელ მშრომელებს...

თავისი კლასობრივი არსის მიმდევარი მენშევიკები ისეთივე მეთოდებს მიმართავდნენ, როგორებსაც მეფის რეჟიმის მემკვიდრე — რუსეთის დროებითი მთავრობა იყენებდა: გრძნობდა რა თავის ისტორიულ გაწწირულობას, იგი მზად იყო სისხლში ჩაეხრჩო მთელი საქართველო, მოეშთო იგი ანტანტის ქვეყნების ხელით, II ინტერნაციონალის ლიდერთა მორალური მხარდაჭერით. ასე დახვრიტეს იმ აჯანყებათა მონაწილენი, რომლებმაც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ოფეთქა ოზურგეთში, ხაშურში, დუშეთში, ახალციხეში, ცხინვალში... ანტიხალხური მთავრობის ბატონობის წლებში მის სისხლიან რეპრესიებს ემსხვერპლა ათასობით კომუნისტი, რევოლუციური მუშა, გლეხი და ჯარისკაცი. ქართული მენშევიზმის ჭეშმარიტი არსი ის იყო, რომ მას არ გააჩნდა რეალური პოლიტიკური პროგრამა, რამდენადმე სერიოზული მატერიალური და სოციალური ბაზა საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დასამკვიდრებლად, და მიუხედავად ამისა, პირზე ეკერა ეროვნული ინტერესების დაცვის დემაგოგიური ლოზუნგები, თანაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰყიდდა და ღალატობდა მათ.

მენშევიკების სახით, რომლებსაც უმთავრესად იმპერიალისტური სახელმწიფოების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, ანტანტამ პოვა ერთგული მსახური და შემსრულებელნი თავიანი დამპყრობლური გეგმებისა, თუ როგორ გადაიქცია საქართველო ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდგ ბრძოლის დასაყრდენად.

მაგრამ ამ დროს ხალხი სხვაგვარად ფიქრობდა.

1921 წლის 11 თებერვალს ღამით დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელიც მალე მთელ საქართველოს მოედო. 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ა. გეგეჭკორი, შ. ელიავა, ა. ნაზარეტიანი, ბ. კვირკველია და სხვები; ცოტა ხანში — აფხაზეთის რევკომი ე. ჟშბას, ნ. ლაკობას, გ. ათარბეგიანის, ს. კუხალეიშვილის შემადგენლობით; შემდეგ — ბათუმისა: ს. ქავთარაძე, ი. პეტკოვი, ი. სტურუა, ს. მეძმარიაშვილი; სამხრეთ ოსეთის რევკომის პრეზიდიუმში შედიოდნენ: ვ. სანაკოევი, ს. გაგლოევი და ა. ჯატიევი.

თავის მიმართვაში საქართველოს რევკომი ლენინს სწერდა, რომ „მენშევიკური მთავრობის დასახმარებლად მოიჩქარიან ევროპის რეაქციის ძალები. გაერთიანებული ‟ავი ლაშქრის შემოტევას უკუგვაგდებინებს მხოლოდ გაერთიანებული წითელი სოციალისტური ლაშქარი. ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენ გვწამს, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ აგრეთვე დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა არ დაგვტოვებს გასაჭირში უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება ახალშობილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას“.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მითითებით მე-11 წითელი არმიის ნაწილები 1921 წლის 17 თებერვალს საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ. 18 თებერვალს საქართველოს რევკომმა მუშებს, გლეხებს, ჯარისკაცებს, ყველა მშრომელს მოუწოდა დაემხოთ მენშევიკთა მთავრობა და საკუთარ ხელში აეღოთ ძალაუფლება, აჯანყებული მუშები მე-11 წითელი არმიის ჯარის ნაწილების მხარდაჭერით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. 24 თებერვალს ღამით მეწშევიკური მთავრობა თბილისიდან გაიქცა. 25 თებერვალს შუადღისას მშრომელთა შეიარაღებული აჯანყება ძლევამოსილად დამთავრდა. ამავე დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელზე გაიგზავნა დეპეშა სერგო ორჯონიკიძის ხელმოწერით: „თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

26 თებერვალს საქართველოს რევკომმა გამოსცა ბრძანება, რომ საკუთარ ხელში იღებს მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას. ამავე დღეს შეიქმნა საბჭოთა საქართველოს პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა.

რევოლუციის სწრაფმა და ძლევამოსილმა განვითარებამ დაარჩარა მუშებისა და გლეხების გამარჯვება: 4 მარტს — სოხუმში, 5 მარტს — ცხინვალში და 18 მარტს — ბათუმში. სოციალისტურმა რევოლუციამ მთელ საქართველოში გაიმარჯვა!

ამ მაისის დღეებში ჩვენ ზეიმით აღვნიშნეთ საბჭოთა ხელისუფლების სამოცი წლისთავი ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკებში — აფხაზეთსა და აჭარაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სიამაყის გრძნობით აღავსებს ყოველი ჩვენგანის გულს აყვავებული აფხაზეთი, რომელიც დინამიკურად ვითარდება. არასდროს არ წაიშლება ხალხის ხსოვნაში ის წვლილი, რომელიც აფხაზეთის კომუნისტებმა შეიტანეს საბჭოთა საქართველოს, მის ავტონომიურ ფორმირებათა, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

ჩვენ გვეამაყება საბჭოთა აჭარის მტკიცე წინსვლა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზით — ამ წინსვლაში ცხადად მოგვესმის რევოლუციური რიტმი ბათუმის პროლეტარიატისა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში.

სულით და გულით შევხარით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიღწევებს: ავტონომიური ოლქის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია, ახალგაზრდობა ძალ-ღონისა და ნიჭის დაუშურებლად იღვწის ჩვენი საერთო ნათელი სახლის — საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა ქვეყნის აყვავებისათვის.

ჩვენი ახლანდელი დღესასწაული — ეს არის დღესასწაული ჩვენი ერთიანობისა, რომელიც წლითიწლობით განმტკიცდება და რომელსაც საუკუნო სიცოცხლე უწერია!

III.

რთული, გრძელი და ხშირად წინააღმდეგობებით აღსავსე იყო გზა, რომლითაც საქართველო თავის მიწა-წყალზე სოციალიზმს ამკვიდრებდა. მაგრამ მთელი ამ სირთულისა და წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, ძნელი არ არის დაინახო, რომ გრძელდებოდა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული საზოგადოების მთავარი ტენდენცია — რუსეთის მოწინავე დემოკრატიასთან მჭიდრო დაკავშირების ტენდენცია, მისწრაფება — შერწყმოდნენ იმ აზვირთებული განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრ ტალღას, რომლის თხემზეც ჩვენ ვხედავთ დეკაბრისტებს, სამოციანელ რევოლუციურ დემოკრატებს, ნაროდნიკებს და, ბოლოს, რევოლუციონერ-ლენინელებს, ბოლშევიკებს, რომლებმაც მტკიცედ დარაზმეს მშრომელი ხალხი ძირმომაკი ცარიზმის წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ თავის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი ხალხი მუდამ ეძებდა ელტვოდა დიდ რუს ხალხთან ერთიანობას, რომ მოწწრავე ქართველი საზოგადო მოღვაწენი, იბრძოდნენ რა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მუდამ იყვნენ, დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდა, სინათლისაკენ მიმსწრაფი რუსეთის მიმდეგარნი.

ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ მოწწინავე ქართველი მოღვაწენი შეძლებისდაგვარად უჭერდნენ მხარს დეკაბრისტებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილსა და ჩვენი ხალხის ბევრ სხვა გამოჩენილ წარმომადგენელს შთაგონებდა იგივე იდეალები, რომლებსაც თავიანთი სიცოცხლე უძღვნეს ალექსანდრე პუშკინმა, ალექსანდრე გრიბოედოვმა და მიხეილ ლერმონტოვმა.

ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ ქართველმა სამოცანელებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც ალექსანდრე გერცენის, ბესარიონ ბელინსკის, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის, ნიკოლოზ დობროლიუბოვის უდიდესი გავლენა განიცადეს, შეადგინეს სრულიად რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის მძლავრი ქართული რაზმი, გამოხატავდნენ დემოკრატიული საქართველოს ინტერესებსა და მისწრაფებებს. ქართველ სამოციანელთა მთელი მოღვაწეობა ობიექტურად უქმნიდა ნაყოფიერ ნიადაგს საქართველოში მარქსიზმის გავრცელებას.

საქართველოში განმათავისუფ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების **ერთ-ერთ** უმნიშვნელოვანეს თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ისინი თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდნენ „ისკრას“, ვ. ი. ლენინს, **მეორე** არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ ბაქოსა და თბილისში შექმნილი არალეგალური სტამბების ბაზაზე ამიერკავკასიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს, ისკრელებს შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი გაზეთი გამოეშვათ. ასეთი არალეგალური გაზეთი — „ბრძოლა“ 1901 წლის სექტემბერში გამოვიდა. ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის **მესამე** თავისებურებაა ის, რომ ისკრულ პერიოდში მკვეთრად გაძლიერდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რევოლუციონერთა ინტერნაციონალური თანამშრომლობა.

რაც შეეხება ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარების ისკრული ეტაპის მთავარ შედეგს, მისი არსი ის არის, რომ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ რაზმებთან საქართველოს რევოლუციური მასების კავშირურთიერთობების გაფართოებისა და განმტკიცების მეოხებით, ლენინური, ისკრული პრინციპების შესაბამისად ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა საქმიანობის ფართო ინტერნაციონალიზაციის მეოხებით შეიქმნა მათი ორგანიზაციული გაერთიანების რეალური წანამძღვრები.

ეს ისტორიული მოვლენა მოხდა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობაზე, რომელიც არალეგალურად გაიმართა 1903 წლის მარტის შუა რიცხვებში თბილისში და რომელზეც დაფუძნდა **რსდმპ** კავკასიის კავშირი.

რსდმპ II ყრილობამ, რომელიც მოასწავებდა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვა ლენინურმა მოძღვრებამ ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შესახებ, განსაზღვრა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის განვითარების ახალი ეტაპიც: რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, თბილისის, ბათუმის, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები მტკიცედ დაადგენენ ბოლშევიკთა პოზიციებს და ფართო შეტევა წამოიწყეს მენშევიზმის წინააღმდეგ. ლენინი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა ამ პოზიციას. „დაე კავკასიელი ამხანაგები, — წერდა იგი, — მტკიცედ იდგნენ იმ გზაზე, რომელსაც ისინი დაადგნენ“.

რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებისთანავე რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მკაფიოდ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხისადმი. „იმის გამო, რომ ჩვენს პარტიაში გრძელდება ჟუთანხმობა, — ნათქვამი იყო კომიტეტის რეზოლუციაში, — ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთში მოქმედ ყველა კომიტეტს შეკავშირდნენ ცენტრალური კომიტეტის გარშემო და სთხოვონ მას... დაუყოვნებლივ შეუდგეს პარტიული ყრილობის ორგანიზაციას...“ 1905 წლის აპრილში ლონდონში შეკრებილმა ყრილობამ, რომელიც პარტიის უხუცესმა ვ.ვარმა მიხა ცხაკაიამ გახსნა, განსაზღვრა ბოლშევიკების ტაქტიკა დაწყებულ რევოლუციაში. ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო“.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელების სახით, ქართველი ბოლშევიკების სახით რუსეთის პროლეტარიატს და მის პარტიას მებრძოლი რევოლუციური რაზმი ჰყავდათ. ლენინის თქმით, აქ „მოძრაობა ყველაზე მეტად განცდა ძველ ტერორს,... აჯანყება ყველაზე უკეთ ბომბადებული. პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“. ბელადის ამ სიტყვების შესანიშნავი ილუსტრაციაა აჯანყებულ გურულ გლეხთა განთქმული ბახვის მანიფესტის სტრიქონები: „ჩვენ, ქართველები, რუსები, სომხები, თათრები — ყველანი ძმები ვართ, ჩვენ არ დავუწყებთ ერთმანეთს ქიშპს, დაე, მთავრობა ტყუილად ნუ ირჯება... ჩვენი მოთხოვნები არ არის კერძო, მარტოოდენ საქართველოს მოთხოვნები. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი. ჩვენ ვუერთდებით რუს ძმებს... ქვეყანა ხალხის ხელში უნდა იყოს!“.

...ჩვენ ვუერთდებით რუს ძმებს...

ჩავუკვირდეთ, როგორ იგრძნობა ამ სიტყვებში მაღალი, ჭეშმარიტად პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, შესანიშნავი რევოლუციური თვისება, რომელიც მოსკოვში ცხრაას ხუთი წლის დეკემბრის ბარიკადებზე რუს რევოლუციონერებთან ერთად თბილისელი მუშები ს. თოდრია, გ. სტურუა, ყ. ჯაში გამოიყვანა, რომელმაც ვოლოგდელ მუშებს სათავეში ი. ხიზანიშვილი ჩაუყენა, რომელმაც ჩვენს თანამემამულეებს იმ მრისხანე დღეებში შთაადგინა, დაეცვათ დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკის მოსკოვის სახლი...

ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ სწორედ მაღალმა ინტერნაციონალიზმმა განსაზღვრა ქართველ რევოლუციონერთა, ქართველ ბოლშევიკთა აქტიური მონაწილეობა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში პრაქტიკულად რუსეთის ყველა კუთხეში.

გმირ ქალაქ ნოვოროსიისკში არის სამსონ ჯაკობიასა და ილია სიხარაძის ქუჩები. სამსონ ჯაკობია რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ნოვოროსიისკის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, ხოლო ილია სიხარაძე აქ დაიღუპა 1918 წელს, როცა მამაცურად ებრძოდა თეთრგვარდიელებს. ტომსკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები სწავლობდნენ, ქართველები მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ დღეებში პეტროგრადში, სმოლნში, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გვერდით მუშაობდა ი. ბ. სტალინი, რომლის როლი რევოლუციის გამარჯვებასა და სოციალიზმის მშენებლობაში ფართოდ არის ცნობილი. დიდი ოქტომბრის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა მეზნებარე რევოლუციონერ-ლენინელმა სერგო ორჯონიკიძემ. 1919 წელს კავკავში (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე) დაიღუპა პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, თერგის საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის თავმჯდომარე ნოე ბუაჩიძე. მასთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ა. გეგეჭკორი, ს. ქავთარაძე, ფ. მახარაძე, ვ. ნანეიშვილი, მ. ორახელაშვილი და მრავალი სხვა. დაუვიწყარია რევოლუციის უშიშარი რაინდის, ბაქოს კომუნის ლეგენდარული კომისრის ალიოშა ჯაფარიძის უკვდავი გმირობა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ლავრენტი ქართველიშვილი, რომელმაც დიდი წვლილი შემატა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და დამკვიდრებას. ცარიცინის დაცვის მონაწილე შალვა ელიავა — წითელი არმიის ერთ-ერთი ცნობილი ორგანიზატორი — ვაქციურად იბრძოდა დიდი ოქტომბრის მონაპოვრების სამოქალაქო ომის ფრონტებზე რუსეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, შუა აზიასა და აზერბაიჯანში, მე-11 არმიის შემადგენლობაში ათავისუფლებდა საქართველოს მენშევიკებისგან. მარადიული დიდება მოიხვეჭეს წითელი არმიის მე-16 დივიზიის მეთაურმა ვასილ კიკვიძემ — „ქართველმა ჩაპაევმა“ და ციმბირში პარტიზანული მოძრაობის გამოჩენილმა ორგანიზატორმა— „ციმბირელმა პაპამ“ ნესტორ კალანდარიშვილმა. ამიერკავკასიელ ბოლშევიკებთან ერთად, მათ მხარდამხარ იდგნენ, იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ მგზნებარე რუსი რევოლუციონერები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწენი მ. კალინინი, ვ. კურნატოვსკი, ს. ალილუევი, ს. კიროვი, ე. სტასოვა...

ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული ქართველი რევოლუციონერები, ქართველი ბოლშევიკები რუსეთის პროლეტარიატის ყველა რაზმთან ერთად რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, მის მომდევნო ცარიზმის სასტიკი რეაქციის წლებსა და რეაქციული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების, მიმდინარეობების, ჯგუფების განუწყვეტელი პოლიტიკური და იდეოლოგიური თავდასხმების, მენშევიკ ლიკვიდატორთა, ცრუმემარცხენე ავანტიურისტთა აშკარა ღალატის პერიოდში, 1910-1914 წლების ახალი რევოლუციური აღმავლობის ტალღაზე, პირველი მსოფლიო ომის კრიზისულ წლებში — დიდი ოქტომბრისაკენ მიმავალ მთელ სახელოვან გზაზე ვაჟკაცურად და მტკიცედ იბრძოდნენ მუშათა საქმისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რომლის ამბავიც ლეგენდარული „ავრორას“ ზალპმა გვაუწყა.

საქართველოს მუშათა კლასი, მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ოქტომბრის გამარჯვებას.

1917 წლის 25 ოქტომბერს 10 საათსა და 30 წუთზე თბილისში მოვიდა ცნობა, რომ პეტროგრადში შეიარაღებულმა აჯანყებამ გაიმარჯვა და მთელი ძალაუფლება გადაეცა საბჭოებს. ამ სასიხარულო ამბავმა, რომელიც მყისვე მოედო მთელ საქართველოს, უდიდესი რევოლუციური აღმავლობა გამოიწვია.

იმ დროს, როდესაც ქართველი ბოლშევიკები პროლეტარიატის საბრძოლო ძალებს რაზმავდნენ, კონტრრევოლუცია თავის ანტიხალხურ აქციებს განაგრძობდა.

კონტრრევოლუციური ძალების ბლოკმა მენშევიკების მეთაურობით ხელში ჩაიგდო თბილისის არსენალი. მალე საქართველოში ძალაუფლებას მენშევიკები დაეპატრონენ.

სამ წელზე ცოტა მეტი—საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მუშათა და გლეხთა შეიარაღებული ბრძოლით აღსავსე ძნელი პერიოდი აშორებს პეტროგრადის ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბრის ამბებს თბილისის 1921 წლის თებერვლის ამბებისაგან. სამი წელი დასჭირდა ჩვენს ხალხს იმისათვის, რომ მოემზადებინა და დაეგვირგვინებინა შეიარაღებული აჯანყება. სამი ძნელი წელიწადი გაატარეს საქართველოს მშრომელებმა ისტორიულ გზის გასაყარზე. სანამ ოქტომბრის წითელი დროშა თბილისში აფრიალდებოდა.

ჩვენ ვიცით, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ტალღაზე ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში წვრილბურჟუაზიული სტიქია აღზევდა, რომ მრავალი პარტია — კადეტებიდან მენშევიკებამდე, თავს „ხალხის მხსნელად“ ასაღებდა, რომ ყველასათვის არ იყო ბოლომდე ნათელი, საით წასულიყო და ვის გაჰყოლოდა. ასეთ ისტორიულ სიტუაციაში არაფერია არაბუნებრივი, პირიქით, სწორედ ისტორიული განვითარების ლოგიკა გვასწავლის, რომ სოციალური პროცესების დედაარსში, ტენდენციებში გასარკვევად საკმაოდ დიდი დრო არის საჭირო.

რუსი პროლეტარებისათვის, რომლებსაც რევოლუციური ბრძოლის უდიდესი გამოცდილება ჰქონდათ, რუსი ხალხისათვის, რომელმაც განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი გამოცდილება შეიძინა, რუსეთისათვის, რომელმაც კაპიტალიზმის განვითარების გზაზე შორს მოიტოვა ყოფილი იმპერიის ეროვნული განაპირა მხარეები, ასეთი დრო იყო პერიოდი 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერს შუა. სწორედ ამ პერიოდში რუსეთის მშრომელებს საბოლოოდ განუმტკიცდათ რწმენა, რომ აუცილებელი, გარდაუვალი იყო სოციალისტური რევოლუცია, რომლისთვისაც მოუწოდებდნენ მათ ლენინი და ბოლშევიკთა ლენინური პარტია.

საქართველოში კი ეს პერიოდი სამ წელს გაჭიანურდა, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთბაშად როდი მოხდა, მან ჩვენში თავისებური გზა განვლო.

აანალიზებდა რა რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ სიტუაციას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „უზარმაზარმა წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი, ჩაახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე“. ვ. ი. ლენინი აგრეთვე აღნიშნავდა პროლეტარიატის არასაკმარის რიცხვს რუსეთში, მის არასაკმარის „შეგნებულობასა და ორგანიზებულობას“. ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტად ეზებოდა ყოფილი მეფის იმპერიის ჩამორჩენილ განაპირა მხარეს — საქართველოს. აქ, როგორც რუსეთში, თებერვლის რევოლუციამ, მეფის თვითმპყრობელობის დამხობამ და გარკვეულ დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვებამ გამოაცოცხლა წვრილბურჟუაზიული სტიქია და მუშათა კლასის მცირერიცხოვნობის პირობებში საქართველოს მენშევიზმს შესაძლებლობა მისცა თავის იდეურ ტყვეობაში მოექცია პოლიტიკაში გაუწაფავი მშრომელების მნიშვნელოვანი მასები, მოეწყვიტა საქართველო რევოლუციური რუსეთისაგან. 1917 წლის ოქტომბერსა და 1921 წლის თებერვალს შორის პერიოდი იყო ის ხანა, რომელმაც ჩვენი ხალხები საკუთარი გამოცდილებით, მენშევიკური ბატონობის იმ სამი წლის გამოცდილებით, საქართველო ეკონომიკური, სოციალური და ეროვნული კატასტროფის პირას რომ მიიყვანა და არსებითად დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ოკუპირებულ ქვეყნად გადააქცია,— მტკიცედ დაარწმუნა: **არ არის სხვა სამერმისო გზა, გარდა სოციალისტური რევოლუციისა, არ არის სხვა ძალა, რომელსაც სოციალისტური რევოლუციის მოხდენა შეეძლოს, გარდა ბოლშევიკებისა, არ არის ხალხის საუკუნო მისწრაფებათა განხორციელების იმაზე უფრო საიმედო საშუალება, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლებაა.**

ასეთი დაპირებით აიარაღებდნენ მშრომელებს ბოლშევიკები, ამაღლებდნენ მასების რევოლუციურ განწყობილებას, გადაკვეცდნენ მას მძლავრ მატერიალურ ძალად. სწორედ ამ ძალამ აიფრიალებინა აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს 1921 წლის 25 თებერვალს ოქტომბრის წითელი დროშა თბილისში.

ჩვენი ხალხების სვე-ბედში მომხდარ ამ ისტორიულ შემობრუნებას ჩვენ ლენინს სახელს ვუკავშირებდით. ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული საქართველოს რევოლუციური გარდაქმნისათვის, სოციალისტური საქართველოს შექმნისა და განვითარებისათვის ბრძოლის მთელი ისტორია. ლენინი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას, სისტემატურად უწერდა მას ფასდაუდებელ დახმარებას და არსებითად წარმართავდა ამ ბრძოლას.

როცა განიხილავდა საქართველოს საჭირბოროტო საკითხებს, განსაზღვრავდა საქართველოს კომუნისტთა ბრძოლის გზებს, სახავდა მათს საშემდეგო პროგრამას, ლენინი საქართველოს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას უდგებოდა როგორც სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის შემადგენელ ნაწილს.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციურ ტრადიციებს, იგი ღრმად და ყოველმხრივ იცნობდა ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას და ტენდენციებს — სწორედ ამან მისცა საშუალება მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს გამოეტანა დასკვნა, რომ „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“.

ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ სწორედ ვ. ი. ლენინის გავლენით აღიზარდნენ საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის რევოლუციონერთაგან მუშათა საქმის ისეთი გამოჩენილი მებრძოლები როგორიც იყვნენ მ. აზიზბეკოვი, მ. ბოჟორიძე, ს. ბუაჩიძე, ვ. ბობოროსკი, ს. გაგლოევი, ლ. გალპერინი, ა. გეგეჭკორი, მ. დავითაშვილი, შ. ელიავა, ა. ენუქიძე, ე. ეშბა, ს. თოდრია, კამო, ვ. კეცხოველი, ნ. კოზეერენკო, ბ. კხენიანცი, ლ. კრასინი, ნ. ლაკობა, ფ. მახარაძე, ა. მიასნიკიანი, ვ. მონტინი, ნ. ნარიმანოვი, მ. ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე, ს. სპანდარიანი, ი. სტალინი, გ. სტურუა, ი. სტურუა, ი. ფიოლეტოვი, ს. ქავთარაძე, ლ. ქართველიშვილი, ს. შაუმიანი, ზ. ჩოდრიშვილი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, პ. ჯაფარიძე და მრავალი სხვა.

ლენინი მისთვის დამახასიათებელი გენიალური სიზუსტით და თანამიდევრობით ნიადაგ წარმართავდა საქართველოს მშრომელთა გმირულ ბრძოლას რევოლუციონერ-ბოლშევიკთა ნაცადი რაზმის მეთაურობით ჩვენს მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, აღანთებდა მათ შეურიგებელი ბრძოლისათვის მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ, რომელთა ერთადერთ დასაყრდენს ანტანტის ხიშტები წარმოადგენდა, იგი აღნიშნავდა, რომ მენშევიკების მიერ დემაგოგიურად რეკლამირებული „...საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოველად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“...

ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ სწორედ ვ. ი. ლენინი იყო ინიციატორი იმ უდიდესი დახმარებისა, საბჭოთა რუსეთმა რომ გაუწია მენშევიკური ბატონობის წინაალმდეგ აღმდგარ საქართველოს მუშებსა და გლეხებს, დახმარებისა, რომელიც ჩვენს მიწა-წყალზე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. უკვე 1921 წლის 28 თებერვალს ლენინმა საქართველოს მუშათა და გლეხთა გამარჯვებას საერთაშორისო მნიშვნელობის უთვალსაჩინოესი მოვლენა უწოდა, ხოლო 2 მარტს, განსაზღვრავდა რა საქართველოს კომუნისტთა ამოცანებს, იგი ურჩევდა მათ „...გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ... თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას...“

ანტიხალხური მენშევიკური მთავრობის სამი წლის ბატონობამ დაამანგრეველი დაღი დაასვა ისედაც სუსტად განვითარებულ საქართველოს ეკონომიკას. 1913 წელთან შედარებით სახალხო მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1921 წლისათვის ათჯერ შემცირდა, თითქმის მთლიანად შეწყდა მანგანუმის მადნის, ქვანახშირის მოპოვება, სავალალო მდგომარეობაში იყო ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, გაქრა საქონელგაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის.

თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულმა რუსეთის პროლეტარიატმა, რომელიც ეროვნული განაპირა მხარეების დაჩქარებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პარტიის ლენინურ კურსს ახორციელებდა, შეგნებულად გაიღო უდიდესი მსხვერპლი და გაჭირვების მიუხედავად, დახმარების ხელი გამოუწოდა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს. და მატერიალურ დახმარებაზე — ჭიდ იმ ასიათასობით ფუთ პურზე, შაქარზე, ათიათასობით არშინ ფართალზე, ფეხსაცმელებზე, ტრაქტორებზე, უწყვეტ ნაკადად რომ მოდიოდა ახალგაზრდა რესპუბლიკაში დამშეული, გაპარტახებული, გაჩანაგებული რუსეთიდან, — ყოველივე ამაზე ასკეც უფრო მნიშვნელოვანი, ძვირფასი, საჭირო იყო ლენინის ფასდაუდებელი რჩევა-დარიგება და მითითებები, რომლებმაც საქართველოს კომუნისტები უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული დებულებებით შეაიარაღეს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

1923 წლის 6 მარტს უკვე სარეცელს მიჯაჭვულმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა საქართველოს კომუნისტებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „პატივცემულო ამხანაგებო! სულითა და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს... ვამზადებ თქვენთვის ბარათებსა და სიტყვას. პატივისცემით ლენინი“. ამ ფრაზით მთავრდება ლენინის გიგანტური მემკვიდრეობა.

ვლადიმერ ილიას ძეს აღარ დასცალდა მოეწერა საქართველოს კომუნისტებისათვის. ჩვენი რესპუბლიკისადმი ლენინური გულისხმიერების ტრადიცია შეინარჩუნა და განავითარა პარტიამ. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ლენინური მზრუნველობა, ლენინური ყურადღება, რომელსაც თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის განვითარებისადმი იჩენენ ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მის თბილ, გულიდან წერილებში, მკაფიო და ნათელ მითითებებში საბჭოთა საქართველოს მშრომელები ხედავენ იმ მზრუნველობის პრაქტიკულ განგრძობას, რომელსაც ვ. ი. ლენინი იჩენდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების, საბჭოთა საქართველოს განვითარებისათვის.

„ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარეები, ამხანაგებო, ახლა აღარ არსებობს!“ — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობის ტრიბუნიდან. და ამ სიტყვებს მიღმა იმალება მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების, სოციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვრის — ხალხთა თანასწორობისა და მეგობრობის პოლიტიკის—ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების გამოცდილება, რომელიც პარტიამ შეიძინა სამოც წელზე მეტი ხნის მანძილზე. ამ სიტყვებს მიღმა იმალება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი, საბჭოთა საქართველოს მაგალითი.

აი რატომ არის, რომ ჩვენ ამაყად ვამბობთ: ყველა ჩვენს საქმეში, ყველა ჩვენს მიღწევებში თავისი სიტყვით, თავისი საქმით, თავისი რეგოლუციური სულით ჩვენთან არის ვ. ი. ლენინი.

აი რატომ არის, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხი, გულწრფელი სიყვარულისა და უღრმესი მოწიწების გრძნობით ეკიდებიან მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, აი რატომ არის, რომ ასეთი მტკიცე მხარდაჭერით სარგებლობს დღეს ლენინის პარტიის ბრძნული საგარეო და საშინაო პოლიტიკა, აი, რატომ არის, რომ ყოველთვის ასე სულმოუთქმელად მოველით რესპუბლიკაში ყველაზე ძვირფასი სტუმრის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლას.

IV.

თავის ცნობილ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“, რომელიც თვენახევარზე ცოტა მეტხანში დაწერა მას შემდეგ, რაც თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი საქართველოს კომუნისტებს ურჩევდა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებისათვის.

„ნავთი, მანგანუმი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა არასრული სია“, წერდა ვ. ი. ლენინი და მოუწოდებდა: **„მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი...“, „...დაიწყეთ ელექტრიფიკაციის... დიდი სამუშაოები“.**

ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ვ. ი. ლენინის პირადი ინიციატივით საქართველოს ელექტრიფიკაციის დაჩქარების მიზნით კრედიტის სახით გამოუყო ჯერ 750 ათასი მანეთი, მერე კი 1 მილიონი მანეთი ოქროთი.

საქართველოს კომუნისტები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ლენინის მითითებათა ხორციშესხმას. უკვე 1922 წელს დაიწყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის — საქართველოში გოელროს ლენინური გეგმის პირმშოსა და ქვეყნის ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ხუთი წლის შემდეგ, 1927 წლის 26 ივნისს ამოქმედდა მისი პირველი რიგი. ამ დროისათვის საქართველოს ყველა ელექტროსადგურის კრებსითი სიმძლავრე შეადგენდა უკვე 26,3 ათას კილოვატს, ანუ თითქმის ერთისამად გაიზარდა 1913 წელთან შედარებით.

ელექტრიფიკაციამ შესაძლებელი გახადა უმაგალითოდ მოკლე ვადაში განხორციელებულიყო დიდი აღდგენითი სამუშაოები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში. უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ ორ წელიწადში ელექტრიფიკაციამ საქართველოში სიცოცხლე შთაბერა ორ ათეულ მსხვილ სამრეწველო საწარმოს. მწყობრში ჩადგა თბილისის ბამბეულისა და სამკერვალო ფაბრიკები, კარდანახისა და თერჯოლის ღვინის ქარხნები, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, რომლის მთელი მოწყობილობაც ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის პროლეტარიატს მოსკოველმა მუშებმა აჩუქეს. დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა გახდა 1923 წელს ჩათახის თუჯსადნობი ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემა. რეკორდულ ვადაში აღადგინეს ათობით შახტი, მაღარო, მამდიდრებელი ფაბრიკა, მოიპოვეს ქართული საბჭოთა ქვანახშირის, მანგანუმის, სპილენძის პირველი ტონები.

ახალგაზრდა სოციალისტური ინდუსტრიის წარმატებებს მნიშვნელოვანწილად უწყობდა ხელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სამეურნეო ორგანოების მუშაობისა და მართვის გაუმჯობესების, მუშათა შრომის სტიმულირების საწორი, ლენინურ მითითებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, განუხრელად რომ ახორციელებდნენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ საქართველოს კომპარტიის 1922 წლის 23 ივნვარ-1 თებერვალს გამართული I ყრილობის შემდეგ.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებს კარგად ესმოდათ, რომ საწარმოო ძალების განვითარება, ელექტრიფიკაციის, მიწების რწყვის დიდი სამუშაოების დაწყება, მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა სრული გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა, თუ მეჯდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს არ დაამყარებდნენ ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკასთან, თუ მეგობრობისა და ურთიერთგაგების მტკიცე კავშირი არ ექნებოდათ ქვეყნის ყველა ხალხთან დიდი რუსი ხალხის მეთაურობით.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო გაერთიანების იდეა ვ. ი. ლენინმა წამოაყენა. სტატიაში „ეროვნული სამეურნეო გეგმის შესახებ“, რომელიც 1921 წლის თებერვალში დაწერა, გოელროს გეგმის მიხედვით ელექტროსადგურების განლაგების საკითხთან დაკავშირებით ვლადიმერ ილიას ძემ აღნიშნა, რომ კავკასია ამ გეგმაში აღებულია მთლიანად, „სხვადასხვა რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური შეთანხმების ვარაუდით“. თავის ერთ-ერთ წერილში იგი უშუალოდ მიუთითებდა მთელი ამიერკავკასიისათვის ერთიანი საოლქო ცენტრის შექმნის აუცილებლობის, ხოლო საკავშირო პროფსაბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა: „ახლა საქართველოც საბჭოთა გზდა. საქმე ეხება კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეურნეო ცენტრად. ნავთობს აწარმოებს აზერბაიჯანი, იგი ბათუმიდან უნდა გავიტანოთ საქართველოს ტერიტორიის გავლით, ასე რომ, ერთიანი სამეურნეო ცენტრი იქნება“.

ამ ლენინურ მითითებათა განხორციელება დაიწყო საგარეო ვაჭრობის ორგანოებისა და რკინიგზების გაერთიანებით. 1921 წლის 12 მარტს საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობამ ვ. ი. ლენინს რადიოგრამით აუწყა, რომ გახსნილია ბაქო-თბილისი-ბათუმის ნავთობსადენი, და განაცხადა, რომ აზერბაიჯანის მშრომელები საქართველოსა და აზერბაიჯანის ძმურ ურთიერთობას ეკონომიკური კავშირით ადუღებენ. მაგრამ ცხოვრებამ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობამ მოითხოვა ამ რესპუბლიკების კიდევ უფრო მჭიდრო პოლიტიკური გაერთიანება, მათი სახელმწიფო კავშირი. 1922 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სფსრ რესპუბლიკის შექმნის შესახებ და ვ. ი. ლენინს გაუგზავნა მისალმება, ამასთან საქვეყნოდ განაცხადა, რომ ამიერიდან ამიერკავკასია ზდება ერთიანი სამეურნეო, სამხედრო და პოლიტიკური ერთეული. ამიერკავკასიის ფედერაცია სსრ კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

ასე შეისხა ხორცი ილიჩის კიდევ ერთმა განაწესმა, რომელიც ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო მაგალითი, საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნის მძლავრი ფაქტორი გახდა.

თავისი არსებობის წლებში (1922-1936

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავი

(გაგრძელება)

საქართველოს მშრომელებმა უკანასკნელ ათწლეულში მნიშვნელოვნად გაფართოვეს ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის მეურნეობა, რესპუბლიკებისათვის მრეწველობის პროდუქციის მიწოდების ფონდი. საბჭოთა საქართველოს სამრეწველო საწარმოებს მტკიცედ ეჭიდებიან სამეურნეო ურთიერთობა დაუმყარდათ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების — რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ლატვიის, ტაჯიკეთის საწარმოებთან... საერთო-საკავშირო ბაზრის დანაწილებაში რესპუბლიკის სულ უფრო მზარდი მონაწილეობის მეოხებით, 1972 წლიდან მოყოლებული, მისი ეკონომიკა უფრო გეგმაზომიერად, უფრო სტაბილურად ვითარდება და უზრუნველყოფს საქართველოს კომპარტიის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულების პრაქტიკულ განხორციელებას: საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით საქართველოს წინანდელი მკვეთრი ჩამორჩენის დაძლევას. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ ათწლეულის განძინლზე რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მოცულობა გაორკეცდა. მარტო მეათე ხუთწლედში ფონდტევადობა სამეურნეობაში გადიდდა 2,4 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდამ მიაღწია 38 პროცენტს, რის შედეგადაც მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების 87 პროცენტი. მზარდი სოციალისტური დაგროვება უზრუნველყოფს გაფართოებულ სოციალისტურ კვლავწარმოებას, მშრომელთა ყველა ეროვნული მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ ზრდას. განვლილ ათწლეულში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა რესპუბლიკაში გადიდდა თითქმის 4,5 მილიარდი მანეთით, ანუ 40 პროცენტით. არსებითად შემცირდა საქართველოს ეკონომიკის ჩამორჩენა წარმოების საერთო-საკავშირო მოცულობისაგან ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით: ეროვნული შემოსავლის მხრივ — 14, მრეწველობის პროდუქციის მხრივ—7,8, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ— 12,7 პროცენტული პუნქტით.

ადგილ შრომის, სოციალისტური შეჯიბრების როგორც წარმოებითი ურთიერთობის განვითარების მამოძრავებელი ძალის ავტორიტეტი, რესპუბლიკის თანამედროვე მუშათა კლასის სახეს დღეს განსაზღვრავს ბევრი ნიშნები, როგორიც არის კოლექტივიზმის მძლავრი სულისკვეთება, თანადგომა, ნოვატორობა, სწრაფვა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განმტკიცების, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის, ფაქიზი ზნეობის დამყარებისადმი.

ყველა ამ დადებითმა ცვლილებამ რესპუბლიკას შესაძლებლობა მისცა მოკლე ვადაში მიეღწია ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ყველაზე მოწინავე მიჯნებისათვის. ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში უთვალსაჩინესი მიღწევებისათვის საბჭოთა საქართველო ოთხგზის ორდენოსანია საბჭოთა კავშირის ორდენებით, ბ. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში ინახება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებმა ზედიზედ მერვედ მოიპოვეს უკანასკნელი ორი ხუთწლედის მანძილზე სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პარტიის გეზი — საქართველოს ინდუსტრიული პოტენციალის თანამედროვეული ამაღლების გეზი — ხორციელდება უწინარეს ყოვლისა, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრული გამოყენების, ფართო საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების, მდიდარი ნედლეულებრივი და შრომითი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში მაქსიმალური მოქცევის გზით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილი და მეცხრე და მეათე ხუთწლედების მანძილზე მნიშვნელოვნად ფორმირებული მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ფასდაძლევის გვაძლევს ფართო მასშტაბით ვაწარმოოთ ახალი საწარმოებლების, სამოქალაქო ობიექტების მშენებლობა, ავამოქმედოთ ინჟინიერი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, ახალი წარმოებანი, რომელშაც ბადალი არ მოეპოვებათ მსოფლიოში.

მეათე ხუთწლედში ამოქმედდა ენგურჰესი. ამ ჰეშმარიტად საყოველთაო სახალხო მშენებლობაში მონაწილეობდნენ თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომზადნილნი. უკანასკნელ ორმამდელ ათეულთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით რესპუბლიკაში გაიზარდა დაახლოებით 14-ჯერ, იგი წყალუხვ ნაკადად შეემატა მთელი ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთის ენერგოსისტემას. დიდი ელექტროსადგურების მთელი თანავარსკვლავეები შეიქმნება მეექვსე და მეთორმეტე ხუთწლედებში მდინარე ენგურზე. პერსპექტივაში რესპუბლიკაში უნდა აშენდეს დიდი საბაზისო ელექტროსადგური, რომელიც დასაბამს მისცემს რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისების ახალ ეტაპს.

წარმატებით ვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, იზრდება პროდუქციის გამოშვება შავი მეტალურგიის ფასგანძების — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიკური განახლების გზით, რომელიც ტყვარჩელისა და ტყიბულის კოქსეადი ქვანახშირის, აგრეთვე მომმე აზერბაიჯანიდან მიღებული რკინის მადნის ბაზაზე მუშაობს. მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის ამოქმედებამ გაზარდა ფერადი მეტალურგიის მნიშვნელობა რესპუბლიკის მრეწველობის სტრუქტურაში. უაღრესად მრავალფეროვან პროდუქციას, უშვებს რესპუბლიკის ინდუსტრიის ქიმიური დარგი, — საყოფაცხოვრებო საქონლით დაწყებული და ელექტროლიზური მანგანუმის ორკანგით დამთავრებული, რომლის მონოპოლიური ექსპორტიორები იყვნენ ამ ბოლო დრომდე ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

მეათე ხუთწლედში დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა სათანადობის მრეწველობა. ამას ხელს უწყობდა ნავთობის საბადოების ფართოზომიანი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე „შავი ოქროს“ მოპოვება საქართველოში თითქმის 133-ჯერ გაიზარდა. ამავე დროს გადიდდა ნავთობსადენების სიგრძე, განსაკუთრებით მეათე ხუთწლედში ამოქმედებული სამგორი-სათუმის ნავთობსადენის ხარჯზე. გაფართოდა არამადნეული წიაღისეულის მოპოვება.

რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება მანქანათმშენებლობა. ამ დარგის პროდუქციის მოცულობა ამჟამად თითქმის 2,6-ჯერ აღემატება 1970 წლის დონეს. მანქანათმშენებლობის საწარმოები უშვებენ ენერგეტიკულურ ჩარხებს, ხელსაწყოებს, ელექტროკარებს, ღვინის პირველად და მეორადი გადამუშავებისათვის განკუთვნილ პროდუქციას, ჩაის მრეწველობის მოწყობილობას, რომელსაც წარმატებით იყენებენ სხვა რესპუბლიკებიც. გადიდდა ელმავლების და საქვეყნოდ ცნობილი წყალქვეშაფრთიანი გემების გამოშვება, ათვისებულია ფეხსავლი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება. სულ მეათე ხუთწლედის წლებში საქართველოს მანქანათმშენებლობაში შეიქმნა 282 სახეობის ახალი ნაწარმი, რომელთა უმრავლესობა საუკეთესო საერთაშორისო და საზღვარგარეთული ნიმუშების დონეზეა.

დიდი მუშაობა განხორციელდა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის. მთავრდება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის რეკონსტრუქცია, რომლის განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ საწარმოს სიმძლავრენი, ავითვისოთ ახალი, უფრო სრულყოფილი მაგისტრალური ელმავლების გამოშვება. მოდერნიზებულია ნარმოება თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

განსაზღვრავს რა საბჭოთა საქართველოში მანქანათმშენებლობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის პერსპექტივებს, საქართველოს კომპარტია შრომელებს, ზუსტად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, მიზნად უსახავს მკვეთრად გაზარდონ დარგის პროდუქციის წილი სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში, კიდევ უფრო სრულად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრენი, უწინარეს ყოვლისა, გააგრძელონ ელექტრონული და რადიოტექნიკური მრეწველობა, ხელსაყოფმშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა და სხვა ყველაზე პროგრესული ქვედარგები. რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა შრომელის სახელისა და შრომითი დიდების საქმე უნდა გახდეს მარნეულის მძიმე და უნიკალური ჩარხთსაშენებელი ქარხნის — მანქანათმშენებლობის დარგის ამ გიგანტის მშენებლობა.

მეთერთმეტე ხუთწლედში შემდგომ განვითარებას პოვებს ხის დამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, სატყეო მეურნეობა.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეცხრე და მეათე ხუთწლედების დავალებათა წარმატებით შესრულებაში საბჭოთა საქართველოს მუშებმა და კვების მრეწველობამ. დღეს მათი ხვედრითი წილი მრეწველობის საერთო სტრუქტურაში 60 პროცენტს სჭარბობს. საქართველოს წილად მოდის სსრ კავშირში წარმოებული მთელი ბოხეა ჩაის 97 პროცენტი, ფილა ჩაის 100 პროცენტი, ღვინომასალის 10-12 პროცენტი, მინერალური წყლების მეოთხედი, ქვეყანაში წარმოებული მთელი ტუნგის ზეთი და ა. შ.

რესპუბლიკაში სასურსათო პროდუქციის საერთო მოცულობა 1981 წელს შეადგენს 3,4 მილიარდ მანეთს, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის მიაღწევს 4,3 მილიარდს.

მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის კვების მრეწველობის ძირითადი ამოცანაა მაქსიმალურად დაკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება სასურსათო საქონელზე.

სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება თევზის მრეწველობის განვითარებას. ხუთწლეულში მისი პროდუქციის მატება დაგეგმილია 36,4 მილიონი მანეთის ოდენობით. მნიშვნელოვნად გაიზრდება სასურსათო თევზის პროდუქციისა და თევზის კონსერვის წარმოება. დაჩქარებულად განვითარდება თევზის მეურნეობა რესპუბლიკის შიდა წყალსატევებშიც. ეს შესაძლებლობას მოგვცემს 1985 წლისათვის სასაქონლო თევზის წარმოება 1980 წელთან შედარებით გავზარდოთ 3,6-ჯერ. გადიდდება თევზის მოპოვება შავ ზღვაში.

მომდინარე ხუთწლედში დაგეგმილია 28,7 პროცენტით გადიდდეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის წარმოების მოცულობა. ამ დარგის წინაშე რთული ამოცანები დგას. მათგან მთავარია სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება, ასორტიმენტის გაფართოება.

ეკონომიკის წარმატებანი იმის შედეგია, რომ ხორციელდება საწარმოთა ტექნიკური განახლება, ინერგება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, წარმოების ფართო ავტომატიზაცია და მექანიზაცია.

მაღლდება ქართული საქონლის კონკურენტუნარიანობაც მსოფლიო ბაზარზე. ტრადიციულ სახეობათა ნაწარმის გარდა საქართველო დღეს მსოფლიოს 80 ქვეყანას უგზავნის ლითონსაჭრელ ჩარხებს, მანქანებსა და კვების მრეწველობისათვის განკუთვნილ მოწყობილობას, მანგანუმს, ფეროშენადნობს, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს, წყალქვეშაფრთიან გემებს, სურსათსა და მრავალ სხვა პროდუქციას.

ამაყობენ მეათე ხუთწლედში მოპოვებული მიღწევებით მშენებლებიც. კაპიტალური მშენებლობის ტემპმა, რომელსაც მათ მიაღწიეს, რესპუბლიკის ისტორიაში პირველად გადააჭარბა საშუალო საკავშირო დონეს, თანაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა ვადამდე შესრულდა. მწყობრში ჩადგა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ასობით დიდი ობიექტი. მთელი ხუთი წლის მანძილზე, 1976 წლიდან მოყოლებული, წარმატებით სრულდება სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლების, საავადმყოფოების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ჯანმრთელობის კერების, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებების საექსპლატაციოდ გადაცემის დავალებები. მეათე ხუთწლედში აშენდა 8,2 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

სწრაფი ტემპით ვითარდება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი. ამჟამად რესპუბლიკაში არის ყველა სახეობის მაგისტრალური ტრანსპორტი, წარმატებით ინერგება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კიდული სატვირთო ბაგირგზები, „ლიოლოს“ სისტემის სამრეწველო პნევმატურ-კონტეინერი მილსადენი. სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარებისათვის, ტვირთზიდვის ოპტიმიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზას, რომლის მშენებლობა უკვე დაიწყო, პერსპექტივაშია კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანა. არსებითად ამაღლდა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა.

ახორციელებდნენ რა პარტიის კურსს მეათე ხუთწლედში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააძლიერეს ყურადღება ნაწარმის ტექნიკური დონისა და ხარისხის განუხრელი ამაღლებისადმი. უკვე ახლა თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის ბევრი სამრეწველო საწარმო 20 პროცენტზე მეტ პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშნით უშვებს. რესპუბლიკაში არის საწარმოები, რომლებიც მეტწილ პროდუქციას ხარისხის უმაღლესი კატეგორიით უშვებენ. ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპის მიხედვით საბჭოთა საქართველომ მეათე ხუთწლედში მე-13-დან ქვეყანაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა მთელ რესპუბლიკაში გავრცელდა.

რესპუბლიკის მშრომელებმა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისას, მეათე ხუთწლედი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის უმაგალითო აღმავლობით აღნიშნეს. და ეს გასაგებიც არის: მრეწველობის მშრომელებმა წამოაყენეს შემხვედრი გეგმა, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და უზრუნველყვეს სამრეწველო წარმოების ტემპის მატება არა 35-39 პროცენტით, როგორც ეს საკონტროლო ციფრებით იყო გათვალისწინებული, არამედ 41 პროცენტით. ასეთი ტემპი დასჭირდა საბჭოთა საქართველოს, რათა რაც შეიძლება ჩქარა დაეძლია მთელი რიგი ინდუსტრიული დარგების განვითარებაში არსებული ჩამორჩენა, უფრო სრულად გამოეყენებინა შრომითი რესურსები და ა. შ. დაბოლოდ და დაფაქიზებდა სახელოვან პატრიოტულ მოძრაობათა თაოსნების ახალი ალეადა, რომლებიც განაგრძობენ გმრი-სტახანოველთა, ომისშემდგომი ხუთწლედის დამკვრელთა ტრადიციებს. ფართო გამოხმაურება პოვა თბილისის ფოლად-ფუსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომკვეთის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გ. რიმნისთაველის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის, სოციალისტური შრომის გმირის ო. ლომიძის და მრავალი სხვა მშრომელის წამოწყებამ. მათმა პიროდმა მაგალითმა, შრომის უნარიანმა ორგანიზაციამ, მიზანსწრაფვამ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებისადმი დამსახურებულად მოუხვეჭა მათ მეათე ხუთწლედის მეწინავეთა სახელი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომელ ყურადღებას უთმობდა ავტონომიური ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპს. მათ შესახებ მიღებულმა სპეციალურმა დადგენილებებმა განაპირობა აქ სამრეწველო წარმოების ზრდის, მშენებლობის ტემპის დაჩქარება, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მწყობრში ჩადგა ათობით ახალი საწარმო, აშენდა წარმოების ახალი დარგები, რამაც საგრძნობლად გაზარდა რეგიონების ეკონომიკური პოტენციალი.

მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ რესპუბლიკის მშრომელებისათვის გამოგზავნილმა გულთბილმა მისასალმებელმა წერილმა მეათე ხუთწლეანი გეგმის ვადამდე შესრულების გამო მძლავრი იმპულსი მიანიჭა ჰეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობას სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. რესპუბლიკაში საქმიან ვითარებაში ჩაიარა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის განხილვამ. ისევე როგორც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დღეებში, შემდეგ კი 1978 წლის აპრილში მიღებული საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვისას, — რესპუბლიკის მშრომელებმა გადაწყვიტეს ხალხის კეთილდღეობისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის პარტიის მზრუნველობის პასუხად ეშრომათ კიდევ უფრო თავდადებით, ძალღონის დაუზოგავად სათაყვანებელი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ, რომელიც 1981 წლის იანვარში გაიმართა, დიდი პროგრამა დასახა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი გაძლიერების დარგში. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ძირითად მიმართულებებში განსაზღვრულ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის, მოჯნეს 30-33 პროცენტის ოდენობით, მკვეთრად გავზარდოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, უზრუნველვყოთ წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის, საზოგადოებრივი დოვლათისადმი მზრუნველი, ყაირათიანი დამოკიდებულების მეშვეობით.

ხელმძღვანელობს რა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, პარტიისა და ხალხისათვის ამ ყრილობაზე მიცემული სიტყვის ერთგული საქართველოს კომუნისტური პარტია აჩაღებს დიდ მუშაობას, რათა დაჩქაროს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ჩამოაყალიბოს კომუნისტური საზოგადოების საწარმოო ძალები.

ჯერ ერთი, საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში უნდა შეიქმნას მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებული ტექნოლოგიური პროცესები, რათა ამაღლდეს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, მისი რენტაბელობის კოეფიციენტი. შრომა ნამდვილად შემოქმედებითი პროცესი უნდა გახდეს.

მეორე, გეგმაზომიერად უნდა ვაწარმოოთ მუშაობა ენერგიის ახალი წყაროების გამოყენებით ენერგეტიკულ სიმძლავრეთა გასაღიდებლად.

მესამე, განვახორციელოთ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის გაძლიერების პროგრამა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მთელ სამუშაოთა სრული მექანიზაციის პერსპექტივით.

მეოთხე, დავაჩქაროთ სამუშაოები რესპუბლიკის მასშტაბით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ავტომატიზებული ქსელის ერთიანი სისტემის შესაქმნელად ქვეყნის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების ძირითად მიმართულებათა გათვალისწინებით.

და, **მეხუთე**, უცილობლად უნდა შევასხათ ხორცი პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, წარმოებაში მართვის ავტომატიზებულ სისტემათა დანერგვის კონკრეტულ პროგრამას, როგორც ამას მოითხოვს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები.

მდიდარი მხარის საწარმოო ძალების ყოველი ღონისძიებით განვითარების შესახებ ფასდაუდებელი ლენინური მითითებების განხორციელებიდან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დაჩქარების გაგებულ პროგრამამდე — ასეთია გმირული გზა, რომელიც საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის მშრომელებმა გამოიარეს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხახელოვანი ხამოცი წლის მანძილზე.

შთამაგონებელი შეფასება, რომელიც რესპუბლიკის კომუნისტთა საქმიანობას მიეცა სკკპ XXVI ყრილობაზე, მშრომელთა მაღალი პატრიოტული განწყობა და ეკონომიკაში რეკორდული მიჯნების მიღწევის მისწრაფება იმის საწინდარია, რომ კვლავაც მოვიპოვებთ ახალ გამარჯვებებს, განვაგრძობთ წარმატებულ წინსვლას ყველაზე ნაცადი, ყველაზე უტყუარი გზით — ლენინური გზით.

V.

ლენინის ანდერძით, მისი გენიოსური განხორციელებით არის განმსჭვალული ქართული სოფლის გარდაქმნის მთელი სამოცი წლის ისტორიაც.

„მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა რადაც უნდა დაჯდეს... მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

ლენინის ამ მითითებით იწყება საქართველოში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლა.

უკვე 1921 წელს, ვ. ი. ლენინის წინადადებით, საბჭოთა მთავრობამ ამიერკავკასიას ბიუჯეტის გადამეტებით გამოუყო 2 მილიონ 600 ათასი მანეთი საირიგაციო სამუშაოებისათვის. ამ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდებოდა „ცნობილი კოლხეთის ჭაობების“ დაშრობას, ვგულისხმობ ალმოსავლეთ საქართველოს მინდვრების რწყვას. რესპუბლიკის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ლენინის მითითებებით და მიიღეს ესოდენ მნიშვნელოვანი დახმარება, უმოკლეს ვადაში ააშენეს მათჰოჯის, კულაშ-ღახირის, ვანი-ტობანიერის, სამთავისის, დიღმის, ქუთაისისა და სხვა სარწყავი არხები.

საბჭოთა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. ღარიბმა და საშუალო გლეხებმა მიიღეს კრედიტები, ინვენტარი, სასუქები. საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენას უდიდეს წილად შეუწყო ხელი საბჭოთა რუსეთის ეკონომიკურმა მხარდაჭერამ და დახმარებამ.

უკვე 1925 წელს სათესი ფართობები საქართველოს სს რესპუბლიკაში 42,3 პროცენტით აღემატებოდა 1921 წლის დონეს. ნამდვილად ისტორიული შედეგები მოჰყვა სოფლის მეურნეობის ორგანიზაციულ გარდაქმნას, მის კოლექტივიზაციას.

საკოლმეურნეო მშენებლობის გაჩაღება საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, მიმდინარეობდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის, კულაკობის გაფთრებული წინააღმდეგობის ვითარებაში. კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ყველგან შექმნილმა გლეხთა კომიტეტებმა. და მალე კულაკობა როგორც კლასი მოისპო. ამ გამარჯვებამ გზა გაუხსნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიან კოლექტივიზაციას.

სულ უფრო საგრძნობი, მნიშვნელოვანი ხდებოდა საბჭოთა საქართველოს სოფლის მშრომელთა წარმატებანი. 1934 წლის 27 ნოემბერს გაზეთი „პრავდა“ წერდა: „უკანასკნელი წლების მანძილზე სუბტროპიკების მეურნეობებში ნამდვილი გადატრიალება მოხდა... გამოიღვიძეს საუკუნეობით მთვლემარე ბაღებმა“. და საქართველოს ბაღები, მისი მინდვრები და პლანტაციები გააცოცხლეს რესპუბლიკის სახელოვანი სოფლის მშრომელების კობა ჩოხელისა და მიხეილ ორაგველიძის, ალექსანდრე მაჭარაშვილისა და ანთიმოზ როგავას, სოფიო ბაზნდარაშვილისა და უშა უხუბას, მართა პლიევას, გიორგი ჯგუბურიას, საკოლმეურნეო მოძრაობის ბევრი სხვა ვეტერანის გამარჯვება ალეთილმა მარჯვენამ.

რესპუბლიკა ამ გადატრიალებას მარტო როდი ახორციელებდა, მას საბჭოეთის ყველა ხალხი ეხმარებოდა. საბჭოთა საქართველოს მშრომელებს შუდამ უდიდესი მადლიერებით ეხსოვნებათ, რომ 1925-1930 წლებში რუსეთიდან და უკრაინიდან რესპუბლიკაში შემოიტანეს 462 ტრაქტორი, 36.874 გუთანი, 8.529 კულტივატორი, 968 სთიბელი, 816 ტრიერი, ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულებამ დააჩქარა კოლექტივიზაციის დამთავრების, საკოლმეურნეო წყობილების საბოლოო განმტკიცების პროცესი რესპუბლიკაში. 1940 წლისათვის გლეხთა კომლების უკვე 94 პროცენტი გაერთიანებული იყო კოლმეურნეობებში. ამ დროისათვის ნათესების ფართობი 1913 წელთან შედარებით 148 ათასი ჰექტარით გაიზარდა, ჩაის პლანტაციებისა—48,7 ათასი ჰექტარით, ციტრუსოვანთა ბაღებისა — 24,4 ათასი ჰექტარით. 1941 წლის გაზაფხულზე საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში — იმ მიწაზე, რომელმაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ კაჟი და ოთხი აუ აცოდა, — მუშაობდა ათასობით ტრაქტორი და სატვირთო ავტომობილი, ასობით მარცვლეულის ასაღები კომბაინი. რესპუბლიკაში გაჩნდა პირველი მილიონერი კოლმეურნეობები.

საქართველოში გლეხი მტკიცედ დადგა ფეხზე, ღრმა რწმენით და სამუდამოდ დაადგა ლენინის იდეების შუქით გაცისკროვნებულ გზას. იგი აღორძინებული მიწის სრულფასოვანი, ყაირათიანი და მარჯვე ბატონპატრონი გახდა. და უკვე ვერავითარი ძალა ვერ გადაახვევინებდა მას ამ გზიდან.

საგანგაშო ხაღარად გაისმა ქართულ სოფლებში 1941 წლის ივნისი და ქართველი გლეხკაცი მუშებთან ერთად იარაღით ხელში აღდგა სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად. ასიათასობით სოფლელი წავიდა ფრონტზე. კოლმეურნეობებში დარჩნენ მხოლოდ ქალები, მოხუცები და ბავშვები. მაგრამ მათ ყველფერი იღონეს, რათა არ გაჩანაგებულიყო ვენახები, შამბი არ მოსდებოდა მინდვრებს, არ გადამბარიყო ბაღები. მათ შექმნეს თავიანთი სოფრონტო ბრიგადები და თავაუფლებლად მუშობდნენ... ეს შრომა მხედრული ვმირობის ტოლფასი იყო: დიდი სამამული ომის წლებში საქართველოში 49,6 ათასი ჰექტარით გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების ფართობი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1941-1945 წლებში სახელმწიფოს ჩაბარეს ასიათასობით ტონა მარცვლეული, ბოსტნეული, კარტოფილი, ჩაის ფოთოლი, ხილი, ციტრუსები, ყურძენი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქცია.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის ღრმა პატრიოტიზმსა და საშობლოსადმი ერთგულებას დამაჯერებლად მოწმობს დახმარება, რომელსაც სოფლის მშრომელები უწევდნენ ფრონტელთა ევაკუირებულ ოჯახებს, დაღუპულ მეომართა შვილებს, დაჭრილებს. რესპუბლიკის კოლმეურნეთა პირადი დანაზოგებით ომის წლებში აშენდა სატანკო კოლონა და სბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილია.

რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობის თავდადებული შრომით აღინიშნა ომისშემდგომი ხუთწლედები. მაგრამ სოფლის მეურნეობის, ისევე როგორც საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ყველაზე მეტი აყვავების პერიოდი გახდა სამოცდაათიანი წლები. ხელმძღვანელობენენ რა სკკპ XXIV და XXV ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებითა და რეკომენდაციებით, რესპუბლიკის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა ამ წლებში უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო ძალების ძლევამოსილი ზრდა.

ეს იყო მიწათმოქმედების სწორედ იმ აღმავლობის წლები, რომლის შესახებ სამოცი წლის წინათ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ლაპარაკობდა.

თუმცა 1940-1980 წლების პერიოდში მრავალწლოვანი ნარგავებისა და საკვები კულტურების ფართობების გადიდების გამო მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი რესპუბლიკაში 431,4 ათასი ჰექტარით, ანუ 58 პროცენტით შემცირდა, მარცვლეული კულტურების წარმოება ამ პერიოდში მაინც გაიზარდა 98 ათასი ტონით, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — თითქმის 10-ჯერ, ციტრუსებისა — 11-ჯერ, ყურძნისა — 7-ჯერ, ხილისა — 4-ჯერ, ბოსტნეულისა — 5,5-ჯერ, კარტოფილისა — 3-ჯერ და მეტად. 1980 წელს საქართველომ აწარმოვა თითქმის ორჯერ მეტი ხორცი და რძე, ვიდრე 1940 წელს.

მეცხრე და მეათე ხუთწლედების მანძილზე საქართველოში დამზადდა 5,5 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების ჩაის ფოთოლი, ყურძენი, ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული, კარტოფილი, ვიდრე მეშვიდე და მერვე ხუთწლედებში ერთად. სოფლის მეურნეობის მთლიანმა პროდუქციამ გასულ ხუთწლედში 9,9 მილიარდი მანეთი შეადგინა, რაც 2,5 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. მეათე ხუთწლედში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიურმა მოცულობამ 34 პროცენტით გადააჭარბა მეცხრე ხუთწლედის მაჩვენებლებს. ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპით ჩვენი რესპუბლიკა ქვეყანაში მეორე ადგილზე გამოვიდა.

**მთელი თავისი სამოცი წლის ისტორიაში საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობას არ ჰქონ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავი

(გაგრძელება)

გამოყენებული ეროვნული შემოსავალი ჩვენში გაიზარდა 1,7-ჯერ და მეტად. რეალური შემოსავალი რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით ამავე პერიოდში გადიდდა 58 პროცენტით, ფულადი შემოსავლის საერთო მოცულობა —1,9-ჯერ, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი— 1,3-ჯერ და მეტად, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ყოველთვიური ანაზღაურება — ერთიორად და მეტად.

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება სულ უფრო და უფრო საჩინო ხდება. განვლილი ათწლეულის მანძილზე მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ერთობლივი შემოსავალი, ესე იგი ოჯახის ბიუჯეტი, 1,4-ჯერ გაიზარდა, ხოლო კოლმეურნეთა ოჯახებისა 1,7-ჯერ.

რესპუბლიკის ეკონომიკის ძლევამოსილი განვითარება წლითიწლობით ამაღლებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების როლსა და მნიშვნელობას. თუ 1970 წელს რესპუბლიკის მოსახლეობამ უფასო და შეღავათიანი მომსახურების სახით მიიღო მილიარდ 17,4 მილიონი მანეთი, 1980 წელს მიიღო უკვე მილიარდ 861,8 მილიონი მანეთი, ათი წლის წინათ ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები შეადგენდა 216 მანეთს, ხოლო გასულ წელს — 368 მანეთს.

„ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის!“ — ეს მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლებისათვის სახელმწიფოს ხარჯების ზრდასაც გულისხმობს. რესპუბლიკის სამავშვო ბაღებში ერთ ბავშვზე სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს 450 მანეთზე მეტს, სამავშვო ბაღებში — 500 მანეთს. წლითიწლობით იზრდება სახელმწიფოს ხარჯები განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველო ჯანმრთელობის დაცვის განვითარების მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გავიდა, მეათე ხუთწლედში ჯანმრთელობის დაცვისათვის დაიხარჯა მილიარდ 155 მილიონი მანეთი.

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვა გამოხატულებას პოულობს მათი სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებით. აი სახელმწიფოს ხარჯების ამ ნაწილის დინამიკა. 1970 წელს მოსახლეობის პენსიებისა და დახმარებების საერთო მოცულობამ, რომლებიც მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან გამოიყოფა, რესპუბლიკაში 342 მილიონი მანეთი შეადგინა, 1980 წელს — 700 მილიონი მანეთი, ხოლო 1985 წელს იგი 860 მილიონ მანეთის მიაღწევს.

„კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიის მეცადინეობაში, — ბაზისამით აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უპირველეს მნიშვნელობას იძენს **სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება, მომსახურების სფეროს განვითარება**“.

მართლაც რომ, ამ დარგში ექვსი ათწლეულის მანძილზე საოცარი ცვლილებები მოხდა. საქართველო ახლა უშვებს ასობით დასახელების სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვან საქონელს. 78 პროცენტით გაიზარდა მარტო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა, ეს კი ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმაც ითვალისწინებს ვაჭრობის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მომსახურების პროგრესული მეთოდების დანერგვას, თანამედროვე მოწყობილობით ვაჭრობის აღჭურვას.

უმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, 1980 წელს რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობამ 2,7-ჯერ გადააჭარბა 1970 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება მომსახურების სფერო სოფლად: აქ საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 2,9-ჯერ გაიზარდა. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა ჯერ კიდევ 1979 წელს ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით გადაგვეჭარბებინა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის საშუალო საკავშირო მაჩვენებლისათვის.

საბჭოთა საქართველო გადაიქცა კურორტების მხარედ, საკავშირო ჯანმრთელობის კერად. 60 წლის მანძილზე აქ შეიქმნა 70 კურორტი, რომელთაგან ექვსი — ბორჯომი, წყალტუბო, ახალი ათონი, გაგრა, ბიჭვინთა და ქობულეთი, საკავშირო მნიშვნელობისაა. ახლა რესპუბლიკაში მოქმედებს 360 სანატორიუმი და დასასვენებელი დაწესებულება, მარტო შარშან საქართველოში იმკურნალა და დასვენა ჩვენ სამშობლოს ყველა კუთხიდან, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულმა ექვს მილიონამდე კაცმა. განვლილი ექვსი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა საქართველოში კურორტებისა და ტურიზმის ობიექტების მომსახურებით ისარგებლა 150 მილიონზე შეტმა კაცმა. ასეთია საქართველოს სს რესპუბლიკის წვლილი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ჯანმრთელობის გაკაჟებაში.

დიდი ყურადღება ეთმობა სპორტის განვითარებას. საქართველოს სამართლიანად ეწოდებენ სპორტულ რესპუბლიკას. და ესეც სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი სანაქებო მონაპოვარია. დღეს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ფიზკულტურულ მოძრაობაში მონაწილეობს მილიონ 760 ათასზე მეტი კაცი. არადა, 1921 წლამდე რესპუბლიკაში იყო მხოლოდ ერთი სპორტული საზოგადოება, რომელიც თავის რიგებში ბევრი-ბევრი 300 სპორტსმენს აერთიანებდა.

საბჭოთა საქართველომ თავის სოციალურ და კულტურულ განვითარებაში 60 წლის მანძილზე მართლაც რომ საუკუნეთა ტოლი გზა განვლო. და ეს გზა საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობის, ჩვენი წყობის საფუძვლების სიმტკიცის, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სიბრძნის მკაფიო დასტურია, — პარტიამ ხომ თავის მთავარ საზრუნავად ადამიანი გამოაცხადა.

VII.

„საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ ქართველი მეცნიერები. აქ შეიქმნა მათემატიკური, ფიზიოლოგიური და სხვა სამეცნიერო სკოლები, რომლებიც სამამულო მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენენ. საქართველოს ახლა აქვს არა მარტო შესანიშნავად მოწყობილი ინსტიტუტები, არამედ ჰყავს მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი მეცნიერები, რომლებიც სხვა რესპუბლიკების მეცნიერებთან თანამეგობრობით უდიდესი წვლილი შეიტანეს ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში“.

ასეთი მაღალი შეფასება მისცა მეცნიერების განვითარებას რესპუბლიკაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

დიდმა ოქტომბერმა ჩვენს ხალხში გამოაღვიძა ჭეშმარიტად ამოუწურავი შემოქმედებითი ძალები, მძლავრი იმპულსი მისცა მეცნიერული აზრის განვითარებას, მეცნიერების საერთო აღმავლობას. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მთელ მეცნიერებასთან, მომძე მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებასთან და, უწინარეს ყოვლისა, რუსულ მეცნიერებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირითა და ურთიერთგამდიდრებით 60 წელია ვითარდება ქართული საბჭოური მეცნიერება.

60 წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაარსდა, საბჭოთა საქართველოში მეცნიერებისა და მეცნიერული კვლევის განვითარების ნამდვილი კერა გახდა, მოწინავე მეცნიერული აზრისა და უმაღლესი განათლების ცენტრად გადაიქცა.

ოცდაათიან წლებში თბილისში დაარსდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი, რომლის ბაზაზე მალე შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალები ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში. 1941 წლის თებერვალში, 40 წლის წინათ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი გარდაიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიად.

სწრაფია მეცნიერებისა და მეცნიერული კვლევის ზრდა რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს 25 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი, რომელთაგან 1.300-ზე მეტს აქვს მეცნიერებათა დოქტორის, ხოლო თითქმის 9000 კაცს — მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდება. მეცნიერებისა და მისი მომსახურების სფეროში დასაქმებულ ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა რიცხვი 42 ათასს აღემატება, მაშინ, როცა 1940 წელს რესპუბლიკაში სულ 3.513 მეცნიერი მუშაკი იყო. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მეცნიერთა კადრების პოტენციალი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. თუ მისი შექმნის მომენტისათვის 14 სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში მუშაობდა მეცნიერებათა 30 დოქტორი და 111 კანდიდატი, ახლა აკადემიის 45 სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტსა და ორგანიზაციაში სულ დაახლოებით 12 ათასი კაცი მუშაობს, აქედან თითქმის 10 ათასი — სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში. ამათგან ნახევარზე მეტი მეცნიერი მუშაკია, რომელთა შორის 380-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და 2 ათასზე მეტი კანდიდატია, სულ კი რესპუბლიკაში 200-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა.

ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერთა მეცადინეობით შეიქმნა და განვითარდა საბჭოეთში და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი სამეცნიერო სკოლები.

რესპუბლიკის მეცნიერთა მიერ შესრულებული ბევრი გამოკვლევის შედეგებმა ფართო აღიარება დაიმსახურა და გამოყენებულია რესპუბლიკისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. ფართოდ არის ცნობილი მათემატიკოსთა და მექანიკოსთა, ფიზიკოსთა, გეოლოგთა, გეოფიზიკოსთა, ფიზიოლოგთა მეცნიერული მიღწევები, რომლებსაც მიეხმარა ლენინური პრემიები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები, მთელი რიგი მნიშვნელოვანი მედეგებია მოპოვებული ასტრონომიის, კიბერნეტიკის, მართვის სისტემათა ავტომატიზაციის, სამთო მექანიკისა და მანქანათა მექანიკის, სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის, ფიზიკური, ორგანული, არაორგანული ქიმიის, ელექტროქიმიის, ფარმაკოქიმიის, მეტალურგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის, პალეობიოლოგიის, ბიოლოგიის დარგებში და თანამედროვე მეცნიერების სხვა მიმართულებებით. მაღალ უკუგებას იძლევა წოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებაც.

საგულისხმო შედეგები მოიპოვეს მეცნიერებმა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, აღმოსავლეთმცოდნეობის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ხელოვნების ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, სამართლის და საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებში. აქაც მთელ რიგ მეცნიერულ ნაშრომებს მიენიჭათ ლენინური პრემია, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები.

ქართველ მეცნიერთა ბევრი ნაშრომი მამოცემულია რუსულ ენაზე, თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, აგრეთვე უცხო ენებზე.

უფრო ეფექტიანი გახდა ჩვენი მეცნიერების მუშაობა უკანასკნელ ათწლეულში. რესპუბლიკის მეცნიერები და სამეცნიერო კოლექტივები მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავენ იმისათვის, რომ გამოკვლევები და ნამუშევრები დაუახლოონ ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის, საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის მსხვილი კომპლექსური სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტის მოთხოვნილებებს, აქტიურად გამოიყენონ სამეცნიერო პოტენციალი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, კიდევ უფრო დაიჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესი. მეცნიერება საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური განვითარების დიდი და რეალური ძალა ხდება.

ცხოვრებაში მეცნიერული აზრის მიღწევების დანერგვის დაჩქარებას საფუძვლად უდევს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, რომლებიც უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების დამუშავებას ემსახურება. ათობით ასეთი პროგრამა გვაქვს, და მათ უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის საგრძნობი ამაღლება, შორეული პერსპექტივის დანახვა და გათვალისწინება.

შეიძლება გულდაჯერებით ითქვას, რომ ამჟამად საბჭოთა საქართველოს მეცნიერებასა და ტექნიკას სოლიდური წინამძღვარი და მარაგნამეტი აქვს მეთერთმეტე ხუთწლედსა და მთლიანად ოთხმოციან წლებში სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებული განხორციელებისათვის. აი, რა მისცა რესპუბლიკას დიდმა ოქტომბერმა, საბჭოთა ხელისუფლებამ!

არადა, რევოლუციამდელ საქართველოში წერა-კითხვის მცოდნეთა ისედაც მცირე რაოდენობის 90 პროცენტს მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში საშუალო განათლებას იღებდა წელიწადში 1500-2000 კაცი. ამჟამად ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს ყოველწლიურად ამთავრებს თითქმის ასი ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი. საბჭოთა საქართველო მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკაა. ყოველი ათასი კაციდან 698-ს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. თუ 1914-1915 წლებში საქართველოში იყო მხოლოდ 40 საშუალო სკოლა, ამჟამად ოთხი ათას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მილიონამდე მოსწავლე საშუალო განათლებას იძენს, მათ კი პედაგოგთა თითქმის ასიათასიანი არმია ასწავლის. 91 საშუალო სპეციალურ სასწავლებელსა და 146 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებელში პროფესიებს ეუფლება თითქმის 140 ათასი მოსწავლე, 19 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 86 ათასამდე სტუდენტი.

სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერების, სახალხო განათლების, უმაღლესი სკოლის განვითარებას აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. სოხუმში გაიხსნა აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმსა და ცხინვალს თავიანთი პედაგოგიური ინსტიტუტები აქვთ. განვლილი ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში დამთავრდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, იგი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი გადავიდა საშუალო განათლებაზე პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიული ორგანიზაციები მეცნიერებისა და განათლების განვითარებაში მოპოვებულ მიღწევებს რომ აღნიშნავენ, მათ მჭიდროდ უკავშირებენ იმ გადასაწყვეტ ამოცანებს, რომელთა ირგვლივ საფუძვლიანი სჯა-ბაასი იყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე.

ვხელმძღვანელობთ რა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითებებით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება მეთერთმეტე ხუთწლედში, მომდინარე ათწლეულში სულ უფრო მეტად უნდა დავუქვემდებაროთ შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული პროგრესის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას, ინტენსიური განვითარების გზაზე რესპუბლიკის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის გადაყვანის დაჩქარებას. კვლავაც უნდა სრულვყოთ სახალხო განათლების, მაღალკომპეტენტური და პოლიტიკურად მომწიფეებული სპეციალისტებისა და მასობრივ პროფესიათა მუშაკების მომზადების სისტემა.

ეს რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის საქმე ოთხმოციან წლებში მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

VIII.

„საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ და უყვართ ქართული ხელოვნება — საბჭოთა კულტურის ერთ-ერთი მძლავრი და ნაყოფიერი ნაკადი. ქართული მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო ამდიდრებენ საბჭოთა ადამიანების შინაგან სამყაროს, მოუწოდებენ მათ სიკეთისათვის, ნათელი იდეალებისათვის, აღაფთებენ საბრძოლველად ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას“.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისეს სიტყვები გამოხატავს ღრმად ხალხური და პარტიული, შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული და სულისკვეთებითა და ხასიათით ინტერნაციონალური ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი ხელოვნების დონის მაღალ პარტიულ შეფასებას.

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური კულტურა აღმოცენდა მძლავრი ფუძიდან, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხალხის სულიერი ცხოვრების ნაყოფიერი ნიადაგი გამწარებული, ეროზირებული იყო მტრის შემოსევების, ცარიზმის რეპრესიების, მენშევიკური მთავრობის კონსერვატორული პოლიტიკის შედეგად. მხოლოდ კომუნისტებს შეეძლოთ დაებრუნებინათ ამ ნიადაგისათვის მაცოცხლებელი ძალა. სოციალისტურ საწყისებზე ქართული კულტურის შექმნა და აყვავება მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან მისი ცოცხალი ურთიერთობის, კულტურული გაცვლის პროცესების მხარდამხარ. შეინარჩუნა რა თავისთავადობა, თავისი ეროვნული ფორმები, ქართული კულტურა გაბედულად წარმოგვიდგა მკაფიოდ გამოხატული სოციალური მოტივებით, კლასობრივი, იდეური შინაარსით. ლენინურმა თეზისმა, რომ ხელოვნება ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, საქართველოში სრული და მკაფიო გამოხატულება პოვა.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის იუბილეს შეხვდნენ ახალი საქართველოს აღმშენებელთა საერთო მწყობრში. ყოველივეს, რითაც ისინი შეეგებნენ დღევანდელ დღესასწაულს, ცხადად ატყვია ორი ტენდენციის მკაფიო ნიშნი.

პირველი ის არის, რომ ქართული ხელოვნება, რომელიც აქტიურად იაზრებს გმირული წარსულის შემოქმედებითს მემკვიდრეობას, სულ უფრო მეტად ავლენს თავის ეროვნულ სახეს, ამასთან, აღრმავებს თავის ინტერნაციონალიზმს.

დიდი პატივია წარმომადგენლობდე ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში იმ ლიტერატურას, რომლის პირველი, ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოები მეხუთე საუკუნით არის დათარიღებული, წარმომადგენლობდე სახვითსა და დეკორატიულ-გამოყენებითს ხელოვნებას, რომელიც განაგრძობს ყინწვისის ფრესკებსა და ძმები ოპიზრების ოქრომჭედლობაში ასახულ ხალხური შემოქმედების ტრადიციებს, წარმომადგენლობდე დიდოსტატის მარჯვენითა და გონებით გაკისკროვნებულ ხუროთმოძღვრებას... მაგრამ ეს პატივი მაშინ ეკისრებოდა, თანამედროვეობას რომ არ ეყრდნობოდეს, ხოლო ხელოვნება—დაკნინდებოდა, ჩვენ, საუკუნო ტრადიციებს მემკვიდრენი, მარტოოდენ წარსულით ტკბობას რომ დავსჯერებოდით.

მეორე, ყველაზე დამახასიათებელი ტენდენციაა ხალხის ცხოვრებაში ხელოვნის აქტიური მონაწილეობა, ხალხთან თანაშემოქმედება, ის, რასაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ცხოვრებით ხელოვნებისა და ხელოვნებით ცხოვრების გამდიდრების პროცესი უწოდა. ყველაზე ფართო, წყალუხვი და ამიტომ შედეგიანი გახდა ეს პროცესი სამოცდაათიან წლებში, უკვე აღარავის უკვირს, რომ მწერალი სოფლად სახლდება, რათა გამოიკვლიოს ეკონომიკური ექსპერიმენტის ზნეობრივი მხარეები, ანდა შეისწავლოს ჩამქრალ შამპანაპეული კერასთან მთიელის დაბრენების სულიერი სათავე — სულაც აღარ არის შემთხვევითი ამბავი, როცა კინოგადამღები ჯგუფი წლობით მთას ეხიზნება, რათა შემდეგ ქვეყანას გაანდოს თუში მეცხვარის საფიქრალი, ჭირი და ლხინი. ყოველივე ეს დღეს უკვე წესია და არა გამონაკლისი. და ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ განვლილმა ათწლეულმა ესოდენ ფართო ასპარეზი მისცა მხატვრულ ნარკვევსა და პუბლიცისტიკას, როგორც გორკი უწოდებდა, ლიტერატურის ამ ფხიზელ მზვერავებს.

როცა ვლაპარაკობთ იმ პროცესების მიზეზებსა და ფესვებზე, უაღრესად საგრძნობი რომ გახდა ამ პერიოდში, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ პარტიული ნდობა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკისადმი, ნდობა, რომლისთვისაც უცხოა ზვრილმანი მეურვეობა, მაგრამ რომელიც ქადაგებს მკაცრ პრინციპულობას და მომთხოვნელობას ნაწარმოებების, მოკლენების, ტენდენციების შეფასებაში. პარტიის მხარდაჭერითა და ნდობით, თავიანთი ეროვნული და ინტერნაციონალური მისიის შეგნებით ფრთაშესხმული ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები ქმნიან ნაწარმოებებს, რომლებსაც ზუსტი სოციალური მისამართი აქვს.

შთაგონებას ხელოვნისა და ხალხის მუდმივი ურთიერთობა შობს. როცა ასეთი კავშირი მყარი და უშუალოა მაშინ ჩვენს თვალწინ იშვებიან და ჩვენს სულიერ ცხოვრებაში სამართლიანად იმკვიდრებენ თავის ადგილს კომუნისტი, რაიკომის მდივანი, რომელსაც თავისი ცხოვრების მიზნად დაუსახავს ვაზი და წყალი დაუბრუნოს მიტოვებულ გაუდაბურებულ ველს; მწერალი, ნიადაგ რომ ეძიებს ზნეობრივ იდეალს და სწვდება მარადისობის კანონს, ხალხის ქომაგი — წინა საუკუნის გმირი, რომელიც თავდავწყებით ილტვის ჭეშმარიტებისაკენ და ამ ჭეშმარიტების შემეცნების ეკლიანი გზა ესოდენ გასაგებია თანამედროვეობისათვის; წინაანტიკური კოლხეთის მკვიდრნი თანამედროვე პროზაიკოსის რომანიდან, ჩვენს წინაშე გადასაწყვეტად რომ აყენებენ ზნეობრივი ყოფის რთულ საკითხებს; მგზნებარე პოეტური ფორმით გადმოცემული მგოსნის ფიქრები ყველა თაობის კომუნისტთა მემკვიდრეობითობის შესახებ; მხატვრის მონუმენტური კომპოზიციები, რომლებიც გამოხატავენ ჩვენს ლტოლვას ფორმის, ბუნებრივი მასალისა და სულისკვეთების სინთეზისადმი.

როცა ასეთი კავშირი მყარი და უშუალოა, მაშინ ხელოვნება ვეღარ ეტევა ჩარჩოში, სცდება ეროვნულ არტახებს და ეძებს ფართო სამყაროში გასვლის გზებს, ცდილობს გახდეს საკაცობრიო კულტურის უზენაესი მიღწევების მიზიარე. ასე იყო ჩვენში სამოცდაათიან წლებში. საბჭოთა საზოგადოებრიობის ტრადიციულ ინტერესს, რომელსაც ფართოდ იჩენენ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისადმი, უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიო აღიარება დაემატა. უმგალითო წარმატება სდევდა თან ქართული თეატრის გასტროლებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მექსიკაში, ინგლისში, საბერძნეთში, იტალიაში. ევროპისა და ამერიკის მუსიკათმცოდნეებმა აღმოჩენა უწოდეს ქართულ ხალხურ მუსიკალურ კულტურას. მრავალრიცხოვან მაყურებელს აღაფრთოვანებენ ქართული ეროვნული ფოლკლორის სიმდიდრითა და დახვეწილი შესრულებით არა მარტო პროფესიონალები, არამედ აგრეთვე თვითმოქმედი მსახიობებიც, რომელთა სახვრგარეთ გამოსვლები პრაქტიკად იქცა... ბევრი საკავშირო და საზღვარგარეთული ჯილდო მოიპოვეს ქართულმა ფილმებმა. ყალმისა და საჭრელის ოსტატთა ნაწარმოებები ფართოდ არის ექსპონირებული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

რესპუბლიკაში დიდად განვითარდა წიგნის გამოცემის საქმე, პრესა. დღეს საბჭოთა საქართველოში ყოველწლიურად გამოდის 2.300-ზე მეტი დასახელების წიგნი, რომელთა ტირაჟი 17 მილიონ ეგზემპლარს სჭარბობს.

არაერთგზის გამოცემულა ქართულ ენაზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თხზულებანი. ამჟამად მზადება მისი თხზულებების სრული კრებული. ქართველმა ბეჭდვამ დიდი ხანია მიიღო კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ყველა ძირითადი შრომა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩენილ მოღვაწეთა ნაშრომები და ნაწარმოებები, ლ. ი. ბრეჟნევის შრომები. ხორცელდება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების 80-ტომეულის გამოცემა ქართულ ენაზე. გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომები. დღეს რესპუბლიკას აქვს 141 გაზეთი, 80 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა. მათმა საერთო წლიურმა ტირაჟმა 621 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა.

წარმატებით ვითარდება ტელევიზია და რადიომაუწყებლობა. 1978 წლიდან შუამთას აფხაზეთის ტელევიზია.

სულ უფრო მზარდი ზრუნვის საგანი გახდა კულტურის ძეგლები.

საბჭოთა კავშირში პირველად შექმნილი საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველო უზრუნველყოფს სახელმწიფო მიღგომას ძეგლების დაცვა-გამოყენების საქმისადმი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ერთიორად გაიზარდა თანხა, რომელიც ძეგლების რესტავრაციას ხმარდება, თანაც ყოველ წელიწადს განზრახულია ეს თანხა კიდევ 20 პროცენტით გადიდდეს ხოლმე. თუ წინათ მხოლოდ საკულტო ძეგლების რესტავრაცია მიმდინარეობდა, ახლა უკვე დაიწყო ციხე-კოშკების, ხიდების, სასახლეების, ქარვასლების, საცხოვრებელი სახლების, ყველა იმ ნაგებობის რესტავრაცია, რომლებიც საქართველოს მხატვრულ კულტურას განასახიერებენ.

ამ ბოლო წლებში რესტავრირებულია ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიც არის სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი, წრომი, ქვათახევი, ბეთანია, შატილი, ბევრი სვანური კოშკი, აჭარის ხიდები. დიდი სამუშაოები წარმოებს აფხაზეთში, მესხეთ-ჯავახეთში, ქალაქების თბილისის, თელავისა და სიღნაღის ისტორიულ რაიონებში.

ძეგლების უმრავლესობა რესტავრაციის შემდეგ კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოიყენება. ბევრი ძეგლი და ისტორიული ღირსშესანიშნაობა ახლი, სოციალისტური დღესასწაულების მოწყობის ადგილი გახდა.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათი ზნეობრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენენ დღეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. თუ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში სულ 129 მასობრივი ბიბლიოთეკა (აქედან 50 — სოფლად) და 209 საკლუბო დაწესებულება (აქედან 170 — სოფლად) იყო, ამჟამად მშრომელთა კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება 4.169 მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა ფონდებში 37 მილიონამდე წიგნი ირიცხება, 2.558 საკლუბო დაწესებულება, 105 მუზეუმი, 45 კულტურისა და დასვენების პარკი, 2.054 კინოდანადგარი, მათგან 1.600-ზე მეტი — სოფლად.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა კულტურის დარგში ლენინური პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თავისებურებაა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში სულიერი კულტურის როლისა და მნიშვნელობის ყოველმხრივი ზრდა. პიროვნების სულიერი აყვავება არა მარტო საზოგადოების განვითარების დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში პროგრესის მძლავრი ფაქტორიც. სოციალიზმი — ეს არის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც მასების შეგნებული და მიზანმიმართული საქმიანობა ქმნის, და მათი პროფესიული და ზოგადი კულტურის დონეზე სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საზოგადოებრივი განვითარების ტემპი და ხასიათი, ცხოვრების ყველა სფეროში საზოგადოების მიღწევათა დონე.

საბჭოთა საქართველოს მაღალი სულიერი კულტურა — მისი ექვსი ათწლეულის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი — დღეს მწყობრად და მრავალხმოვნად გაისმის, რადგან იგი ერთ-ერთი მძლავრი ნაკადია საბჭოთა სოციალისტური კულტურისა, რომელიც თავის დაბადებას უნდა უმადლოდეს მტკიცე ეროვნულ მშვიდობას, ხალხთა ლენინურ მეგობრობას.

IX.

როცა საბჭოთა საქართველოს დაბადების წელს მხურვალედ მიესალმა კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკებს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა გამოთქვა იმედი, რომ **„მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურუჟაზიის დროს არნახული და ბურუჟაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“.**

დღეს შეგვიძლია სრულიად გარკვეულად ვთქვათ, რომ ახდა რევოლუციის ბელადის გეგნალური წინასწარმეტყველება: ეროვნული მშიდობიანობის ნიმუში შეიქმნა არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ აგრეთვე მთელი ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა შორის.

ისტორიული პირობების გამო საქართველოში ოდითგან ცხოვრობდნენ და ბრძოლობდნენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები. ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მეფის თვითმპყრობელობა ობიექტურადაც და სუბიექტურადაც უწყობდა ხელს მათ გათიშვას, აგდებდა შუღლს, უნდობლობას, განხეთქილებას მათ შორის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გახდ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავი

(გაგრძელება)

1983 წელს ჩვენი რესპუბლიკა ქვეყნის ყველა ხალხებთან ერთად [illegible]ით აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავს. ჩვენ [illegible]ესასწაულებთ არა ორი დინასტიის კავშირის წლისთავს, არამედ [illegible] და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ნათელ იუბი[illegible] ვინაიდან ისტორიას ქმნიან ხალხები. ეს იქნება ერთობლივი [illegible]ოლის ქარცეცხლში გამოწრთობილი ხალხთა მეგობრობის, ინ[illegible]ციონალიზმის დიდი დღესასწაული.

[illegible]ესეთთან საქართველოს შეერთებას უდიდესი პროგრესული მნი[illegible]ლობა ჰქონდა. საქართველო სამუდამოდ განთავისუფლდა შინა[illegible]ბისა და გამაჩანაგებელი შემოსევებისაგან, მას ეკონომიკისა [illegible]კულტურის განვითარების სასიკეთო შესაძლებლობანი შეექმნა. [illegible]ველი ხალხი უაღრესად მადლიერია დიდი რუსი ხალხისა უანგ[illegible] დახმარების და მხარდაჭერის, კაცობრიობის ისტორიაში არნა[illegible] მეგობრობისათვის. მადლიერების ეს გრძნობა ამოძრავებდათ [illegible]ველი ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად მონა[illegible]ეობდნენ 1812 წლის სამამულო ომში და უშკნობი დიდების შა[illegible]ნდედით შემოსეს რუსული იარაღი. მადლიერების ეს გრძნობა [illegible]ავებდათ ქართველი ხალხის წარმომადგენლებს — რუსეთის [illegible]ათავისუფლებელი მოძრაობის, რუსეთის სამივე რევოლუციის [illegible]ფლეებს. ეს ნათელი გრძნობა დღესაც აღავსებს საქართველოს [illegible] მცხოვრების გულს, ამ გრძნობებით აღიზარდა ადამიანების — [illegible]ოთა პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების არაერთი თაობა. [illegible]ახ, ინტერნაციონალიზმი ჩვენი კრედო, ჩვენი დროშა, ჩვენი [illegible]ერების წესია. და ამასთანავე ჩვენ პატრიოტები ვართ. აქ არა[illegible]რი წინააღმდეგობრიობა არ არის, ვინაიდან პატრიოტიზმი და [illegible]ციონალიზმი განუყრელია საზოგადოებაში, სადაც თითოეუ[illegible] კეთილდღეობა საყოველთაო კეთილდღეობად იქცევა.

[illegible]�აბათ არ არის კაცი, რომელსაც ძველ-რბილში არ ჰქონდეს გამ[illegible] მამა-პაპამა მამულის, შშობლიური კულტურის, თავისი ენის, [illegible]ისი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების სიყვარული, — თქვა [illegible]ლის გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — მაგრამ სო[illegible]ლისტურ საზოგადოებაში ეს გრძნობა — პატრიოტიზმის გრძნობა [illegible]ოდება ეროვნული კეთვნილების საზღვრებს, ახალი შინაარსით [illegible]ება".

[illegible]ლა, როდესაც საბჭოთა ხალხი აი უკვე ოცდათექვსმეტი წელია [illegible]ებრობს და შრომობს მშვიდობიანი ცის ქვეშ, მისი ღრმა პატრიო[illegible]ზმი და ინტერნაციონალიზმი ყველაზე მკაფიოდ გამოიხატება თა[illegible]ოდებული გმირული შრომით, ქვეყნის ეკონომიკური და თავდაც[illegible] ძლიერების განმტკიცებით. ასე იყო ყოველთვის. ასე იყო მაში[illegible] როცა ჩვენს ქვეყანაში მუხანათურად შემოჭრილი ფაშისტთა [illegible]ოები ვერაფერს გახდნენ საბჭოთა საზოგადოების სოლიდარობის, [illegible]ბის ერთიანობისა და შეკავშირების წინაშე. მეორე მსოფლიო [illegible]ის შედეგები, ჩვენი დიადი გამარჯვება საუკეთესოდ წარმოგვიდ[illegible]ს ჩვენი იდეების ძლიერებასა და უძლეველობას, დიდი ლენინის [illegible]ით შექმნილი საზოგადოების ძლიერებასა და უძლეველობას.

[illegible]ქართველოს მიწა-წყალზე ფრონტის ხაზი არ გადიოდა. მაგრამ [illegible]რული ძარღვი ფეთქავდა მის ყველა ქალაქში და დაბაში, სახლ[illegible]ა თითოეული ადამიანის გულში. მან შეისისხლხორცა ამ [illegible]ბრტად სახალხო ომის ყველაზე მტკივნეული წერტილების — [illegible]ტისა და მოსკოვის, კურსკისა და სტალინგრადის, ქერჩისა და [illegible]ოროსიკის სახელწოდებები. ფრონტიდან გამოგზავნილმა ჯა[illegible]ტიკაცურმა სამკუთხა ბარათებმა შეცვალა ჩვეული წარმოდგენა [illegible]ოგრაფიაზე და უკვდავყო ეს სახელწოდებანი ჩვენს მადლიერ [illegible]ერებაში. საქართველოს 700 ათასამდე მეომარი იბრძოდა დიდი [illegible]ამეული ომის ფრონტებზე. თითქმის ყოველი მეორე მამაკაცი [illegible]ცა ბრძოლის ველზე, როცა სოციალისტური სამშობლოს თავისუ[illegible]ებასა და დამოუკიდებლობას იცავდა. საქართველოს 64 წარჩავ[illegible]ოს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. 280 ათასი [illegible] სსრ კავშირის სბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილ[illegible]ვდა.

[illegible]ესეთი გახლავთ საბჭოთა პატრიოტიზმის დიალექტიკა: უდიდესი [illegible]ასაცდელი ხალხის უდიდეს ზნეობრივ რეზერვებს გამოავლენს, [illegible]შრომიდან მასობრივ გმირობას წარმოაჩენს ხოლმე. ეროვნულ ფა[illegible]ლებს გასცდა და მთელი საბჭოთა ხალხის საოცაკად და საამა[illegible]ოდ იქცა იმათი სახელი, ვინც შესანიშნავი მზიური საქართველოდან [illegible]ოარა უკვდავებას, ვინაიდან ალეშანდრე მატროსოვისა და ვლადი[illegible]ერ ფაჩელიას, ზოია კოსმოდემიანსკაისა და ზოია რუხაძის, [illegible]ოლოზ გასტელოსა და ნიკოლოზ აბრამიშვილის გმირობის [illegible]თავე ერთია. ომის ძნელბედობამ განსაკუთრებით თვალსა[illegible]ო გახადა ჩვენი ღვიძლი ერთიანობა, განსაკუთრებით მტკიცე [illegible] ჩვენი ძმობა. პანფილოველი პოლიტხელის განთქმული სიტყვები [illegible]დიდია რუსეთი, უკანდასახევი გზა კი არა გვაქვს, ჩვენ უკან [illegible]ოსკოვია!" გმირი პანფილოველების ძმები ეკაულეებისათვის [illegible]ვე გაისმა, როგორც თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის, და [illegible] სამშობლოს გულს იცავდნენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, [illegible]ანასკნელ სისხლის წვეთამდე. გმირულად იბრძოდა დიდი სამამუ[illegible] ომის ფრონტებზე 414-ე ქართული მსროლელთა დივიზია.

[illegible]ვიადი ბრძოლების ქარცეცხლში იწრთობოდა მე-18 არმიის სარ[illegible]ის კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძისა და ამ არმიის ბა[illegible]ტგანყოფილების უფროსის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სბრ[illegible]ძლოლო მეგობრობა. სოცერად თბილი და მრავლისმთქმელი სიტყვები [illegible]ანაბა ლეონიდ ილიას ძემ თავისი თანამებრძოლი მეგობრის და[illegible]ასიათებლად:

[illegible]„კონსტანტინე ლესელიძე დამამახსოვრდა როგორც ქართველი ხალ[illegible]ის საუკეთესო ეროვნული ფრთვნებების განსახიერება. ეს იყო სიცოცხ[illegible]ით სავსე ვაჟკაცი, მტრისთვის მკაცრი და მეგობრებისათვის [illegible]ლუხვი, პატიოსანი კაცი, სიტყვის კაცი, ჯონგებამახვილი და გულ[illegible]ეგზარაე". ეს სიტყვები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისინი [illegible]ოვენის ადამიანს, რომელსაც სრულად აქვს მომადლებული ადა[illegible]ობის ნიჭი, იცის უდიდესი განსაცდელის ყადრიც და ერთი მა[illegible]ი მიზნისაკენ მიმსწრაფი ადამიანების სულიერი ძლერების ყა[illegible]�აც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსე[illegible]ული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივში მიაკვლიეს საინტე[illegible]ესო, ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობ დოკუმენტს, რომ[illegible]ც მოწმობს ლეონიდ ილიას ძის გულისხმიერებას მეომრებისადმი. [illegible] გახლავთ დეპეშა, რომელიც ომის დამდეგს საქართველოს კომპარ[illegible]ის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო. აი ისიც: სამხრეთის ფრონ[illegible]ის ნაწილებში არიან ქართველი წითელარმიელები. დაბეჯითებით [illegible]ოვთ, რაც შეიძლება მალე ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით [illegible]ბეჭდინოთ და გამოგვიგზავნოთ კრებული, რომელშიც შევა უმა[illegible]ესი მთავარსარდლობის სამამულო ომის პერიოდის ბრძანებები [illegible] ყველა მიმართვა ხალხისა დ ჯარისადმი. ჩვენი მისამართი: მოქმე[illegible] არმია, საველე ფოსტა 500. ბრიგადის კომისარი ბრეჟნევი.

[illegible]სტყვები, ლეონიდ ილიას ძემ რომ თქვა ქ. ლესელიძეზე, ზედგა[illegible]ეჭიანოა ეროვნულ ხასიათზე. მაგრამ ამასთანავე ეს სიტყვები განა[illegible]ერებს პარტიის მიერ ადამიანებისათვის ჩანერგილ საერთო-[illegible]ბპოურ, საერთო-სახალხო ნიშან-თვისებებს, ასე მკაფიოდ რომ [illegible]ამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში.

[illegible]სწორედ ამ ნიშან-თვისებების შესახებ წერდა ამხანაგი ლ. ი. ბრე[illegible]ნევი თავის შესანიშნავ წიგნში „მცირე მიწა". სწორედ ამ ნიშან-თვი[illegible]ებებმა აქციეს უკრაინისა და ბელორუსიის, პოლონეთისა და ჩეხოს[illegible]ოვაკიის, იუგოსლავიისა და იტალიის გმირებად საბჭოთა საქართ[illegible]ელოს მრავალი მკვიდრი, რომლებიც მტერს შეაკვდნენ მამა-პაპათა [illegible]ნა-წყლისაგან შორს. სწორედ ამ თვისებებმა ატარებინა მიხეილ [illegible]ბროოვსა და მელიტონ ქანთარიას ომის გზებზე გამარჯვების დრო[illegible] და აღამართვინა იგი დაცემული რაიხსტაგის თავზე.

[illegible] ომის გმირთა ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს ხალხში. [illegible]ავარულით, მამაშვილური მადლიერების გრძნობითა და მზრუნვე[illegible]ობით ეკიდებიან რესპუბლიკაში ვეტერანებს, რადგან გმირობა [illegible]დგენდავ ფასდაუდებელია, რამდენადაც უსაზღვრო იყო იგი ომის [illegible]ლებში. ყოველ დილით ცოცხალი ყვავილებით ამკობენ უცნობი [illegible]ისაკის საფლავის კვარცხლბეკს თბილისის გამარჯვების პარ[illegible]ი. სულ ახალ-ახალ სახელებსა და გმირობის დეტალებს იგებს [illegible]ვენი ხალხი, რომელიც მისხალ-მისხალ აგროვებს გმირობის და[illegible]ადასტურებელ უძვირფასეს ფაქტებს.

[illegible]მაგრამ ამ ხსოვნაში მთავარია მისი ცხოველმყოფელობა, მისი [illegible]ალი მოქალაქეობრივი, ადამიანური გაკვეთილები. უდრეკ მამა[illegible]ებს, სამშობლოს სიყვარულს, მზადყოფნას იმისათვის, რომ თუ [illegible]აჭირო გახდა, კვლავ მამა-პაპისებრ დაიცვან იგი — აი რას ასწა[illegible]ლის ეს ხსოვნა იმათ, ვისაც არ სმენია ომის ზალპები. და არ [illegible]ებობს უკეთესი და უფრო ალამართალი მასწავლებელი, რა[illegible]გან არ არსებობს სხვა ისტორიული გამოცდილება, რომელიც გვაძ[illegible]ვდეს ესოდენ ზუსტ და ტანჯვა-ვაებით მოპოვებულ წარმოდგე[illegible]ას მშვიდობაზე. მხოლოდ მაშინ, თუ იცი ამის ფასი, მხოლოდ [illegible]ამინ, თუ გიყვარს სამშობლო, შეიძლება გახდე ნამდვილი პატ[illegible]იოტი და ინტერნაციონალისტი, ნამდვილი მეომარი — მისი [illegible]ზღვრების საომედო მცველი.

[illegible]ასეთი არიან დღევანდელი საბჭოთა მეომრები და მათ შორის [illegible]ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლ[illegible]ების მეომრები. სამმოლოურია, რომ თავის იუბილეს საბჭოთა სა[illegible]ართველო ეგებება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო [illegible]ლის 60 წლის იუბილესთან ერთად, რომლის მეომრები — [illegible]ბრული მე-11 არმიის დიდების ღირსეული მემკვიდრეები — [illegible] საზღვრებთან ერთად საომედოდ და ფხიზლად იცავენ [illegible]ენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებს. სულ უფრო მრავალფერ[illegible]ვანი ხდება რესპუბლიკის მშრომელებთან ამიერკავკასიის სამხედ[illegible]ო ოლქის მეომართა თანამშრომლობის ფორმები, ღონძავდება მშრო[illegible]ელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. ამ მუშაობამ განსაკუთ[illegible]ებით ფართო გაქანება შეიძინა ბოლო ათწლეულში. რესპუბლიკა[illegible] პატიოსნა ორგანიზაციამ და სამხედრო ოლქების პოლიტორგა[illegible]ებმა სამხედრო-საშეფო მუშობის ერთობლივად დაგეგმვის, [illegible]ელტურულ-საშეფო ურთიერთობისა და საქმიანი კონტაქტების [illegible]ემდგომი განმტკიცების მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძი[illegible]ებრივი შემადგენლობა.

[illegible]ნერც ნურასოდეს დასჭირვებია საბჭოთა არმიის რიგების დღე[illegible]ელ შევსებას მატროსოვისა და ფაჩელიას გმირობის განმ[illegible]ორება, თორემ პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის წმი[illegible]ანწმიდა იდეალების ერთგული საქართველოს კომუნისტები, [illegible]ტების ნებას მიჰყვებიან და ყველაფერს ღონობენ იმისათვის, [illegible]ომ თითოეულ მეომარში ცოცხლობდეს გმირი, რომელიც მზად [illegible]ნება გაუტოლდეს ამ ლეგენდარულ ადამიანებს.

საბჭოთა საქართველოს კომუნისტებმა იციან: ყოველივე, რაც ხალხს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გადატანია, ყოველივე, რაც ადამიანთა ახალ ისტორიულ ერთობას — საბჭოთა ხალხს დაუგროვებია, ხელს უნდა უწყობდეს ჭეშმარიტად კომუნისტური ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ხელს უნდა უწყობდეს პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა ახალი თაობების აღზრდას, რადგან თავისთავად სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ავტომატურად როდი ბადებენ მასების სოციალისტურ შეგნებას. საჭიროა აქტიური იდეოლოგიური და პოლიტიკური მუშაობა.

ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, რესპუბლიკის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ახალი ეტაპი დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. გადამწყვეტი და თანამიმდევრული ღონისძიებანი, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა შრომითს კოლექტივებში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოოდ დამკვიდრებისათვის, აქაც თავის კეთილ ნაყოფს იღებს. ამას ცხადყოფს, უწინარეს ყოვლისა, მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაძლერება, განუწყვეტლივ მზარდი უკომპრომისო ბრძოლა, რომელშიც მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები ებმება, შეურიგებლობა უყაირათობის, კერძომესაკუთრული მისწრაფებების, მექრთამეობის, გამომძალველობის, მომხვეჭელობის, ბიუროკრატიზმის, წამატებების, საქმის გაჭიანურების ყველა გამოვლინებისა და კომუნისტური მორალისა და ზნეობის ნორმებისაგან სხვა გადახვევებისადმი, რომლებიც ეწინააღმდეგება მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების საფუძვლებს. რა თქმა უნდა, აქ ყველა პრობლემა გადაჭრილი როდია — ამ მიმართულებით იდეოლოგიურ მუშაობას ხშირად აკლია შეტევითი მებრძოლური სული, მაგრამ ერთი რამ უკვე სავსებით ცხადია: **საბჭოთა საქართველოს მშრომელები არასოდეს იოტისოდენადაც კი არ დათმობენ სოციალიზმის უდიდეს მონაპოვრებს. რესპუბლიკის პარტიულ, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლენინური ნორმების დამკვიდრების პროცესები შეუქცევადია.**

მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის თავისი მუშაობის შემდგომი სრულყოფის გეგმების შედგენისას საქართველოს კომპარტია ხელმძღვანელობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნებით. რესპუბლიკის თითოეული პარტიული მუშაკს დიდ დახმარებას უწევს იმ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, რომელიც თბილისში გაიმართა თემაზე: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად". კარგ ტრადიციად იქცა ამიერკავკასიის მომძე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ერთობლივ იდეოლოგიურ ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და განხორციელება.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას კარგად ესმის, რომ მუშათა, კოლეგიურთა, ინტელიგენციის ინტელექტუალური დონის მკვეთრი ამაღლება, მათი ინფორმირების მაღალი დონე ამოცანად გვისახავს დღენიადაგ ვეძებოთ იდეოლოგიური მუშაობის, კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის ნოვატორული ფორმები და მეთოდები. მუშაობის ერთ-ერთი ასეთი ფორმა და მეთოდი გახდა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მუდმივი, ცოცხალი, გულახდილი დიალოგი მოსახლეობის ფართო მასებთან, ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიული საფუძვლების გაღრმავება, წამოჭრილ პრობლემათა კოლექტიური განხილვა, ამ მიზნით ტრადიციული სახალხო დღესასწაულების უფრო სრულად გამოყენება, ახალი სოციალისტური ტრადიციებისა და რიტუალების დანერგვა. ამ მხრივ საგულისხმოა ახალი სახალხო ზეიმის — თბილისქალაქობის ორგანიზაცია და მიმდინარეობა.

თბილისი ასამდე ეროვნების წარმომადგენელთა მეგობრობისა და ძმობის ქალაქია. აურაცხელ დამპყრობთ მრავალგზის გადაუწვავთ და გაუპარტახებიათ იგი. მაგრამ ლეგენდარული ფენიქსივით კვლავ აღმსდგარა ფერფლიდან ან ნაგრეგებიდან. აგიზგიზებულ ხანძარში კი ადამიანთა მარადიული ძმობა იწრთობოდა. ამიტომაც დევიზი ახალი დღესასწაულისა, რომელიც მთელი რესპუბლიკის დღესასწაულად იქცა, „თბილისი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია" — ესოდენ ზუსტად და ღრმად გამოხატავს განუმეორებელი, ძველთაძველი, გამრჯე, გულუხვი ქალაქის მთელ არსსა და სულისკვეთებას. ამ დღისათვის, რომელიც ოქტომბრის დამლევს აღინიშნება, ხუროთმოძღვრები „მთავრებენ ხოლმე ქალაქის რომელიმე ძველი უბნის რესტავრაციას, ამ დღისათვის ამზადებენ ბარაქიანი შემოდგომის შრომითს ნობათებს მეგვნახეები და მებაღეები, ამ დღეს ჩამოდიან ქალაქს ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მომუშავე თბილისელები, დამშობილებული ქალაქების, საქართველოსთან შეჯიბრებული მოძმე რესპუბლიკების დელეგაციები, იმართება ფესტივალები, დათვალიერებები, ხალხური შემოქმედების გამოფენები. შრომის, სამშობლოს, კომუნიზმის მრავალეროვანი სადიდებელი ამ დღეებში ჟღერს, როგორც ხალხთა ლენინური მეგობრობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოლიფონიური ჰიმნი.

პარტია გვასწავლის: ყოველგვარი აღზრდის წარმატება უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა მას მტკიცე საფუძვლად უდევს სწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. დღეს საბჭოთა საქართველოს დიდი მატერიალური და სულიერი შესაძლებლობანი აქვს პიროვნების განვითარებისათვის. ისინი არასდროს არ ემსახურებოდა ისე სრულად მშრომელ ადამიანს, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებას, რაც თავისთავად პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მთავარი, საბოლოო მიზანია, როგორც გასულ ათწლეულში.

X.

სკკპ XXVI ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიამ **„მიაღწია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან დაჩქარებას".** ეს უდავო წარმატებანი ჩვენ მოვიპოვეთ იმის წყალობით, რომ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ყოველდღიურ დახმარებას უწევენ და ყურადღებით ეკიდებიან საბჭოთა საქართველოს, მის პარტიულ ორგანიზაციას.

საქართველოს კომპარტიის ისტორიაში არ ყოფილა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ ესოდენ ინტენსიური ზრუნვისა და ყურადღების ისეთი პერიოდი, როგორიც 70-იანი წლებია, როცა საქართველოს შესახებ მიიღეს მთელი რიგი ფუნდამენტური დადგენილებანი. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1972 წლის თებერვალში მიღებულ რესპუბლიკისთვის ისტორიულ დადგენილებას „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისს საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

ამ ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტს საფუძვლად დაედო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის რჩევა-დარიგება და კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც გამოთქვა 1966 და 1971 წლებში საბჭოთა საქართველოში ჩამოსვლის დროს. რესპუბლიკისათვის მეორე ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლეონიდ ილიას ძემ აღნიშნა, რომ „ყველა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოს მუშაობის ნამდვილი ლენინური სტილი — აი რა არის ჩვენთვის ახლა განსაკუთრებით საჭირო... რაც შეიძლება ნაკლები მყვირალა ფრაზები და კამპანიურობა, და რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა, იმის უნარი, რომ საქმიანად, დინჯად ვერკვეოდეთ საქმის ვითარებაში, თავს არ ვიტყუებდეთ მაღალფარდოვანი სიტყვებით და რეალისტურად ვაფასებდეთ როგორც შესაძლებლობებს, ისე სიძნელეებს, როგორც წარმატებებს, ისე ნაკლოვანებებს".

„საჭიროა, — ხაზგასმით აღნიშნა ლეონიდ ილიას ძემ საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, — გავაძლიეროთ ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში. საჭიროა თითოეული საბჭოთა ადამიანი აღვზრდოთ კანონების განუხრელი დაცვის, სოციალისტური საკუთრების განმტკიცების, შრომისადმი პატიოსანი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, რომელიც შეუთავსებელია ეროვნული შეზღუდულობისა და ოჯინიზმის რაიმე გამოვლინებასთან".

ეს უმნიშვნელოვანესი დებულებანი საფუძვლად დაედო ისეთი უდიდესი დამოაზმველი ძალის დოკუმენტს, როგორიც საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელთათვის გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. მან დასაბამი მისცა საქართველოს კომპარტიის მტკიცე ბრძოლას ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების, მუშაობის ლენინური სტილის აღდგენისა და საყოველთაო დამკვიდრებისათვის, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყურადღებით, გულდასმით ადევნებდა თვალს ამ ბრძოლას, ბრძნული პარტიული სიტყვით, კონკრეტული საქმით ეხმარებოდა საქართველოს კომუნისტებს აიმაღლებინათ თავიანთი ავტორიტეტი პარტიაში, აემაღლებინათ რესპუბლიკის პრესტიჟი ჩვენს ქვეყანაში. შეუმჩნეველი არ დარჩენილა არც ერთი თუნდაც მცირეოდენი წარმატება. ოთხი წლის შემდეგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ინიციატივით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენთვის საეტაპო მეორე დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ", რომლითაც პარტიის ლენინურმა საბრძოლო შტაბმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა საქართველოს კომუნისტების მიერ გაწეულ მუშაობას.

თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ **ეკონომიკის** სფეროში ძირითად ნაკლოვანებებად დაასახელა ის, რომ სამეურნეო ხელმძღვანელები, შრომითი კოლექტივები ჯეროვან პასუხისმგებლობას არ იჩენდნენ თითეულ საწარმოში და მშენებლობაზე სახელმწიფო გეგმების დროულად შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის, შრომის ნაყოფიერების და ფონდუკუგების გადიდებისათვის, რომ ნელა იზრდებოდა წარმოების ტექნიკური დონე, სრულად არ იყენებდნენ საწარმოო სიმძლავრეებს, სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, სისტემატურად ვერ ასრულებდნენ კაპიტალური მშენებლობის გეგმებს. სერიოზულ საყვედურს იწვევდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაცია, სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობა.

მეორე დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ **ეკონომიკის** სფეროში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა და შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც უფრო სრულად იყენებდნენ შინაგან რეზერვებს, ძირითადად დაძლიეს არსებითი ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ეკონომიკური და სოციალური განვითარების, მეურნეობის გაძლოლის ეფექტიანობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მაჩვენებლებით რესპუბლიკამ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა ჩვენს ქვეყანაში. გაიზარდა ფონდუკუგება, შემცირდა მუშახელის დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები, იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად სისტემატურად სრულდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების დავალებანი.

უფრო ეფექტიანი გახდა კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენება, შემცირდა მშენებლობის ვადები. სრულდება საბინაო მშენებლობის, სამედიცინო-სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების ობიექტთა აგების საგეგმო დავალებანი.

პოლიტიკურ სფეროში დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ აღნიშნავდა, რომ ჯეროვანი თანამიმდევრობით არ ხორციელდებოდა პარტიის მითითებანი კადრებთან მუშაობის შესახებ, მივიწყებული იყო მოთხოვნები, რომ მუშაკთა შეფასებისას მთავარი კრიტერიუმებია მათი პოლიტიკური სიმწიფე, ქვალიფიკაცია, ზნეობრივი სახე და თანამედროვე პირობებში მასებისადმი ხელმძღვანელობის უნარი. დადგენილება აკრიტიკებდა უპრინციპობასა და ლიბერალიზმს, კოლექტივების, მათი პარტიული ორგანიზაციების აზრის უგულებელყოფას, იმას, რომ კადრებისადმი ნდობასა და პატივისცემას სწორად ვერ ახამებდნენ მათადმი მოთხოვნელობასთან, ლიბერალურად ეკიდებოდნენ ცალკეულ ხელმძღვანელებს, რომლებიც კარგად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს; ურიგდებოდნენ ბიუროკრატიზმის, მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტებს; არ იყო სათანადო ზრუნვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, საწარმო-დაწესებულებათა მუშაობაზე მათი გავლენის გაძლიერებისათვის; ბევრ ორგანიზაციაში არ ხორციელდებოდა ქმედითი ღონისძიებანი კომუნისტთა აქტიურობის, მათი ინიციატივის ამაღლებისათვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის.

მეორე დადგენილება აღნიშნავდა, რომ **პოლიტიკურ** სფეროში საქართველოს კომპარტიამ დიდი მუშაობა გაწია, რაზეა არსებითად გაეუმჯობესებინა პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, განემტკიცებინა, ერთი მხრივ, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირება, მეორე მხრივ, მისი კავშირი მასებთან, და საბოლოოდ, მკაცრად დაეცვა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმები, კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური დემოკრატიის პრინციპები; აქტიური დამრაზმველი ძალა გახდა მშრომელთა ფართო მასების საზოგადოებრივი აზრი, პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის ბევრი უბანი განმტკიცდა პოლიტიკურად მომწიფებული, მორალურად მტკიცე, პარტიის სქმის ერთგული კადრებით.

კოლეგიურობამ, კომუნისტების, მშრომელთა კოლექტივების აზრის გათვალისწინებამ საკადრო საკითხთა გადაწყვეტისას მეტ წილ შემოხვევებში შექმნეს შესაძლებლობა, რომ თავიდან აგვეცილებინა შეცდომები მუშაკთა შეფასებისას, გამოგვერიცხა მათი დაწინაურება პირადი ერთგულების, ნათესაური და ძმაკაცური დამოკიდებულების ნიშნით. გაიზარდა ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა მინდობილ უბანზე მუშობის შედეგებისა და ადამიანთა აღზრდისათვის.

მკვეთრად გაიზარდა პარტიული კომიტეტების პლენუმებისა და პარტიული კრებების, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების, კადრების, ყველა კომუნისტის აღზრდის სკოლის როლი და მნიშვნელობა. პარტიული კომიტეტები სრულყოფდნენ პარტიის დირექტივებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციასა და შემოწმებას, ავითარებდნენ ფართო მასების კონტროლს ხელმძღვანელი ორგანოებისა და კადრების საქმიანობისადმი. გაიზარდა კომუნისტების ავანგარდული როლი, ისინი ახლა მისაბაძნი გახდნენ შრომაში. მათ ითავეს ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა და შესამჩნევად გააძლიერეს თავიანთი გავლენა ახალგაზრდობაზე.

სულიერ სფეროში დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ აღნიშნავდა, რომ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სუსტად არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივების წინაშე დასახულ კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტასთან, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მშრომელთა აღზრდას შრ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავზე

(დასასრული)

დღეს მისი მიღწევები, წარმატებები, ადამიანები მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აინტერესებს. მარტო ბოლო წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ მოძმე ქვეყნების — ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ვიეტნამის ხელმძღვანელები, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის, სოციალისტური ეთიოპიის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკისა და აღორძინებული კამბუჩიის, სირიის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელები, საფრანგეთის, ჩილესა და ბრაზილიის კომპარტიათა ხელმძღვანელები, ინდოეთის ხელმძღვანელები, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენები და მრავალი ქვეყნის პარლამენტარები.

ისინი, ისევე როგორც ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად ჩამოსული ათასობით უცხოელი ტურისტი, რწმუნდებიან, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ვით ყველა საბჭოთა ადამიანი, ისწრაფვიან ყველა ხალხთან მშვიდობიანად იცხოვრონ, ყველაფერი იღონონ, ოღონდ თავიდან აიცილონ კონფრონტაცია, ბირთვული ომი.

რაც უნდა მაღალ მწვერვალებს მიაღწიოს საბჭოთა საქართველომ, მუდამ გვემახსოვრება, რომ მის სათავეებთან დგას გენიალური მოაზროვნისა და უდიდესი რევოლუციონერის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გოლიათური ფიგურა. რაც უნდა მაღალ მწვერვალებს მიაღწიოს საბჭოთა საქართველომ, არასოდეს დაგვავიწყდება, რომ თავისუფლებისა და ბედნიერების რეალური გზები ჩვენ გაგვიკვალა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია. რაც უნდა მაღალ მწვერვალებს მიაღწიოს საბჭოთა საქართველომ, სულ მუდამ გვეცოდინება, რომ ყველა ჩვენი მიღწევა — დღევანდელიც და მომავალიც — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებული გმირული შრომის შედეგი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგი.

ლენინი მუდამ ჩვენთან არის!

თავისი სიტყვით, თავისი საქმით, თავისი რევოლუციური სულისკვეთებით იგი მუდამ ჩვენს გვერდით, ჩვენთან ერთად, ჩვენს წინ არის. ლენინი კომუნისტებს უნერგავდა ოცნების შესანიშნავ უნარს — ჩვენ ოცნება სინამდვილედ ვაქციეთ.

...დიდზე დიდ ავტომატურ პულტთან დგას მუშა. ხელის ერთი მოძრაობით იგი სამუშაო რიტმს ანიჭებს ქარხნის კონვეიერს — ჩამწკრივებულ მანიპულატორ რობოტებს, პროგრამული მართვის ჩარხებს, მძლავრ რკინის „ხელებს“, რომლებიც ნახაზებსაც კითხულობენ და ლითონსაც ადნობენ. უზარმაზარ მარტენის საამქროში მრავალი ენა ისმის: უცხოელ სპეციალისტთა ჯგუფი ჩამოსული ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ჩვენეული გამოცდილების შესასწავლად. ხახადაღებული გიგანტური მილი ზედიზედ შთანთქავს კოსმოსური რაკეტების მსგავს დატვირთულ ვაგონებს — მწყობრში ჩადგა საკონტეინერო პნევმოტრანსპორტის პირველი რიგი. ღრუბელთ სიმაღლეზე, შიგ მთების გულში გაპყავთ უნიკალური საავტომობილო გვირაბი — მალე ამ გვირაბში უწყვეტ ნაკადად წავა ტვირთი. ამასთანავე ობსერვატორიის მეცნიერებმა გალაქტიკის წიაღში ახალი ზეგრსკვლავი აღმოაჩინეს. და ყოველივე ეს ბედნიერი, მშვენიერი, ძველი და მარად ჭაბუკი საბჭოთა საქართველოა!

ხამოცმა გმირულმა წელმა ვერ დააბერა მისი ქალაქები — იმიტომ, რომ მათს ადგილზე და მთა მეზობლად ახალი აშენდა. **ხამოცმა გმირულმა წელმა** ვერ დააბერა მისი შესანიშნავი ადამიანები — იმიტომ, რომ ყოველი ახალი თაობა იღებს მამა-პაპათა ესტაფეტას; იმიტომ, რომ სამუდამოდ ახალგაზრდებად დარჩებიან ხალხის ხსოვნაში გმირები, რომლებმაც უკვდავება მოიპოვეს. **ხამოცმა გმირულმა წელმა** ვერ დააოკა მისი სულიერი სწრაფვა ნათელი მწვერვალებისაკენ — იმიტომ, რომ ყოველი ახალი დაპყრობილი მწვერვალი ჩვენთვის მოძალლის, ხვალინდელი დღის ტრამპლინია.

სამოცი წელია წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს პროფკავშირები — რესპუბლიკაში კომუნიზმის სკოლა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის პროფესიულმა კავშირებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

საქართველოს კომპარტიის ერთგული თანაშემწე და საიმედო რეზერვია რესპუბლიკის ლენინური კომკავშირი, რომლის საბრძოლო, მჩქეფარე, მიზანდასახული საქმიანობა სამოცი წლის მანძილზე სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაგვირგვინდა.

მთელი სახელოვანი სამოცი წლის მანძილზე საბჭოთა საქართველოს მშრომელებს საგმირო საქმეებისაკენ მიუძღოდა საქართველოს კომპარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმი.

ცხრა ათასზე ცოტა მეტი კომუნისტი იყო საქართველოში 1921 წელს, დღეს კი მათი რიცხვი სამას ორმოცდაათი ათასს აღემატება, და ეს ციფრები ასახავს საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგების არა მარტო რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ ზრდასაც. ეს ციფრები მოწმობს მის მაღალ ავტორიტეტს — რესპუბლიკის ყოველი პატიოსანი მშრომელი უდიდეს პატივად რაცხს იყოს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წევრი. ეს ციფრები მოწმობს, რომ რესპუბლიკის კომუნისტები ინტერნაციონალიზმის ერთგული არიან: საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში მდგომი სამოცდაჩვიდმეტი ეროვნების წარმომადგენელნი ერთგულად ემსახურებიან ხალხს. ეს ციფრები მეტყველებს, რომ რესპუბლიკის სამას ორმოცდაათი ათასი კომუნისტიდან თითოეული დიდი ლენინის პარტიის შეუდრეკელი მებრძოლია. რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ბირთვი — აი რა არის დღეს საქართველოს კომპარტია.

ყოველი ჩვენგანისათვის დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან წარმოთქვა:

„დიახ, საბჭოთა ადამიანები რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს, მაგრამ მათი ოპტიმიზმი ბედის ნებიერთა თავდაჯერება როდია. ჩვენმა ხალხმა იცის: ყველაფერი, რაც მას აქვს, საკუთარი შრომით შექმნა, საკუთარი სისხლით დაიცვა. და ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს შრომის ძალა. იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი. ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი პარტია, ვიცით, რომ გზა, რომელსაც იგი გვიჩვენებს, ერთადერთი სწორი გზაა!“

საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ყოველთვის ექნებათ შრომის აღმშენებლობითი ძალის მტკიცე რწმენა. ის არის სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ეპოქის მთავარი **ხაშენი მასალა**, მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებისათვის პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესრულების საფუძველი. დიდი საქმიანი ავტორიტეტი, რომელსაც რესპუბლიკის მშრომელები ჩვენს ქვეყანაში იმსახურებენ, შეიძლება განმტკიცდეს და გამრავლდეს ეკონომიკური განვითარების ტემპის მეტი დაჩქარებით, საერთო საკავშირო დოვლათში ჩვენი წვლილის უფრო მეტად გადიდებით.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ყოველთვის ექნებათ თავიანთ ქვეყნის, თავიანთი ხალხის მტკიცე რწმენა; ჩვენი რესპუბლიკა მიერ განვლილი სამოცი ძლევამოსილი წელი მოწმობს, რომ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გართულების კვალობაზე ჩვენ დიადი სამშობლოს ხალხთა ძმური მეგობრობა და ურთიერთდახმარება სულ უფრო ხდება მძლავრი საწარმოო მორალური ძალა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ყოველთვის ექნებათ თავიანთ პარტიის მტკიცე რწმენა. კომუნისტურ პარტიას არა აქვს უფრო დიდი მიზანი, ვიდრე ზრუნვა მშრომელი ადამიანისათვის, მის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის, რათა ბედნიერი იყვნენ ჩვენი შვილები — კომუნიზმის აქტიური მშენებლები მომავალ, XXI საუკუნეში. განამტკიცებდე პარტიის რიგების ერთიანობასა და შეკავშირებას, ყოველთვის იყო მისი ერთგული და მებრძოლი რაზმი — ნიშნავს მაღლა ატარებდე ლენინის უძლეველ დროშას, აღწევ ახალ გამარჯვებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

დღეს, რესპუბლიკის ნათელი იუბილეს დღეს, პირობას ვაძლევ ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მთელ საბჭოთა ხალხს, რომ საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის ისტორიაში მეშვიდე ათწლეული გახდება დიდი ისტორიული წინგადადგმული ნაბიჯი სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ახალ მიჯნების მიღწევის გზაზე, ახალ წვლილს შეიტანს ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემდგომ აყვავებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურყევ ლენინურ მეგობრობას და ძმობას!

გაუმარჯოს ლენინის დიად პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

გაუმარჯოს მშვიდობას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

„ფაზისობა“ ფოთში

შავი ზღვისპირა ქალაქ ფოთის მშრომელები ახალი შრომითი გამარჯვებებითა და პოლიტიკური აღმავლობით ხვდებიან ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

სახელოვანი რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციების მქონე ქალაქს საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი ნამდვილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაიწყო.

ფოთელ მშრომელთა დიდ პატრიოტულ შრომასა და პოლიტიკურ აღმავლობაზე ითქვა საქართველოს 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით ფოთის ვ. გუნაის სახელობის დრამატულ თეატრში გამართულ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზეიმო სხდომაზე.

მომხსენებელმა — პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. გულუამ დამსწრეთ მოუთხრო ინტერნაციონალური ქალაქის წარმატებებზე.

საქართველოს საიუბილეო დღეებში ფოთში საფუძველი ჩაეყარა ახალ საბჭოურ დღესასწაულს — „ფაზისობას“. ფაზისობასთან დაკავშირებით საიუბილეო დღეებში მდინარე რიონის ნაპირზე, იქ, სადაც მდინარე ზღვას ერთვის, მოეწყო კოლხური ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. აქ დარგულია თითქმის ყველა ის მცენარე, რომლებიც კოლხეთში ხარობს, აგებულია ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი „ფაცხა“, „მონადირის კარავი“, „კოლხური ოდა“, „მეჯოგის კარავი“, „სავაჭრო დუქანი“, „მებადურის ოჯახი“, „ჯარგვალი“, რკინის რელსებზე დგას „კონკა“.

ფაზისის სახალხო აკადემიაში მოეწყო ქალაქის საზოგადოების შეხვედრა ფოთში აღზრდილ მეცნიერებსა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, შრომისა და ომის ვეტერანებთან. გაიხსნა აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ა. დანელიას, მიხა ცხაკაიას ბიუსტები.

რკინიგზის სადგურის შენობას გაუკეთდა მემორიალური დაფა 1905 წლის იანვარში ფოთში გაფიცულ რკინიგზელთა პატივსაცემად. მემორიალური დაფებით შეამკეს სახლები, სადაც ცხოვრობდნენ ძველი ფოთელი რევოლუციონერები გ. გამბაროვი და მ. მაკალათია, რევოლუციონერი ქალი თ. ჯიჯავიძე, ექიმი კ. მიქაბერიძე. სამუსიკო სასწავლებლის შენობის ფასადს გაუკეთდა გრ. მალანიას მემორიალი.

გაიხსნა უნიკალური არქიტექტურული ნაგებობა — გზაგამტარი, რომლის სიგრძე 310 მეტრია, საფუძველი ჩაეყარა გემ „ჟოროხის“ რევოლუციურ მუზეუმად გადაკეთებას.

დღესასწაულის დამაგვირგვინებელი იყო ღია ზღვაზე თეატრალიზებული სანახაობა „ფაზისობა“ (ტექსტის ავტორი ი. ლოლუა, დამდგმელი რეჟისორი ო. ცერაძე).

ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქეებად არჩეული არიან აკადემიკოსი, ფაზისის სახალხო აკადემიის რექტორი გიორგი ჩიტაია, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ყვანია, მწერალი როდიონ ქორქია.

ვ. გუჯაბიძე,
ფოთის საქალაქო გაზეთის „ახალი კოლხეთის“ განყოფილების გამგე

მკითხველთა საყურადღებოდ!

სსრ კავშირის სახშრომშემსალაროების საქართველოს რესპუბლიკური მთავარი სამმართველო იუწყება, რომ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების პირველი დამატებითი ტირაჟის ცხრილში (რომელიც გამოქვეყნებულია 14 მაისის ნომერში) სერიის 39962 ნომრის ნაცვლად უნდა იყოს 38962.

მტკვრის ორ ნაპირს დიდი რკინიგზის ხიდი აერთებს. 60 წლის წინათ ამ ხიდით გამოიარეს ეშელონებმა, რომლებსაც მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი ხალხის დასახმარებლად ლეგენდარული მე-11 წითელი არმიის დივიზიები მოჰყავდა. მაგრამ, ვიდრე მატარებლები ხიდს გადაივლიდნენ, საგულისხმო ამბები მოხდა. მენშევიკებმა, რომლებიც შეეცადნენ შეეჩერებინათ საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლა, ხიდი ააფეთქეს. ქართველმა, რუსმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა ჯარისკაცებმა, რკინიგზელებმა, მუშებმა და გლეხებმა — ათას ორასმა კაცმა — სამ დღეში აღადგინეს ხიდი. თებერვლის სუსხში, წელამდე წყალში მდგომნი თითქმის შეუსვენებლივ მუშაობდნენ 72 საათის განმავლობაში.

ვიდრე ჯარისკაცებით დატვირთული მატარებლები საქართველოსაკენ გამოსწევდნენ, ფოილოში სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მიტინგის მონაწილეებმა დეპეშა გაუგზავნეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს:

„ჩვენ დავადგინეთ — ხიდს ლენინის სახელი ვუწოდოთ. დაე იგი იყოს ქართველ და რუს პროლეტართა ერთობლივი, მეგობრული შრომის პირველი ძეგლი და ისე შეაკავშიროს ორივე ეროვნება, როგორც ჩვენ შევაერთეთ მდინარე მტკვრის ორივე ნაპირი. რევოლუციის ძვირფასო ბელადო, ამხანაგო ლენინ, ნუ დაიგიწყებთ, რომ ამ ხიდით ქართველი ხალხი ისწრაფვის თქვენკენ, როგორც თავისი განმანთავისუფლებელისაკენ“.

ფოილოს რკინიგზის ხიდთან პიონერული მიტინგი გაიმართა. თავიანთ აზერბაიჯანელ მეგობრებთან მოვიდნენ თბილისის საქარხნო რაიონის პიონერები — რესპუბლიკური ოპერაციის „მზის“ მონაწილენი. გულდასმით მოუსმინეს ხიდის აღდგენის მონაწილეს, ძველ კომუნისტ რზა ასტადულაევს, მისი ნაამბობი ჩაიწერეს. სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღეს საექსპედიციო ალბომისათვის.

ასეთ ალბომებს ახლა 600-ზე მეტი პიონერული რაზმი ამზადებს. 14 ათასზე მეტი პიონერი მონაწილეობს **საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემების მთავარი რედაქციის მიერ გამოცხადებულ რესპუბლიკურ ოპერაცია „მზეში“.** ოპერაციის სახელი სიმბოლურია და უკავშირდება 1921 წლის თებერვალში საქართველოში ოქტომბრის მზის ამობრწყინებას.

პიონერები ასრულებდნენ ოპერაციის რესპუბლიკური შტაბის დავალებებს, შეისწავლეს, თუ როგორ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება მათ რაიონში. ქალაქში, სოფელში, გაეცნენ ისტორიულ-რევოლუციურ ძეგლებს, იმ ეპოქის სახელოვან ადამიანთა მოგონებებს, მოძებნეს ცოცხალი მოწმენი, ჩაიწერეს მათი ნაამბობები.

ქუთაისის რკინიგზის მე-11 საუალო სკოლის პიონერებს შეკრებაზე ეწვია ძველი კომუნისტი რომანოზ გედენიძე. ოთხმოც წელს გადაცილებულმა მოხუცმა უმაწვილებს უამბო საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაზე, ლენინიზმისა და დუშეთის გლეხთა აჯანყებებზე. მეთერთმეტე წოილი არმიის რიგებში მყოფმა პაპა რომანოზმა 1921 წლის გაზაფხულზე ქუთაისში წოილი დროშა აიფრიალა. სასიამოვნო და სასიხარულოა ასეთ შესანიშნავ ადამიანებთან მეგობრობა.

ოპერაცია „მზის“ მონაწილენი ყველგან — ყოველ ქალაქსა და რაიონში დაუმეგობრდნენ იმ სახელოვან ადამიანებს, რომლებიც აქტიურად იღვწოდნენ ბრძოლისა და შენების, ძიებისა და შემოქმედების დიადი 60 წლის განმავლობაში. ზაჰესის საშუალო სკოლის პიონერებმა ქართული ენერგეტიკის პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის პიონერული მატიანე შეადგინეს; და თითქოს მათგან ესტაფეტა მიიღესო, სამტრედიის მე-5 საშუალო სკოლის ნორჩმა ლენინელებმა რიონჰესის ისტორია შეისწავლეს. განა მარტო სამტრედიელებმა! რიონჰესის მშენებლობის არაერთი უნიკალური, ძვირფასი დოკუმენტია თავმოყრილი ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლის პიონერთა მიერ შედგენილ ალბომში.

მაღალმთიანი ხულოს რაიონიდან რედაქციამ უკვე 12 ალბომი მიიღო. ყოველი მათგანი თავისებურად ასახავს, თუ საბჭოთა ხელისუფლების წლებში როგორ დამშვენდა ეს მხარე. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს ალბომში ჩაუკრავთ ისლით დახურული, ფარფალალა ქოხის ფოტოსურათი. მის საპირისპიროდ ახალი, ლამაზი, კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლების ფოტოებია. „ასეთ სახლებში ვცხოვრობთ ჩვენ!“ დაუწერიათ ბავშვებს ფოტოსურათების ქვეშოთ. წყალტუბოს ზონის სოფელ გვიშტიბის პიონერებს კი ძველი ქოხის ფოტოსურათი ვერ აღმოუჩენიათ და დღევანდელ ყოფასთან დასაპირისპირებლად ალექსანდრე დიუმას მოგონებების ის ადგილი ამოუწერიათ, რომელშიც ფრანგი მწერალი მათი სოფლის სიღარიბესა და გაჭირვებას აღწერს.

„როგორ ვიზარდეთ, როგორ ვიმარჯვეთ!“ — ბევრგან ალბომებში ალისფრად ბრწყინავს პიოტის ეს სტრიქონები: ოპერაცია „მზის“ მიზანი სწორედ ეს გახლავთ — საბჭოთა ხელისუფლების დიად გამარჯვებათა წლებში დამადებულ ნორჩ თაობას დავანახოთ, თუ რა მოუტანა ქართველ ხალხს დიდი ოქტომბრის ნათელმა მზემ.

საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემების მთავარი რედაქცია გარკვეულ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა ოპერაციაში ჩაბმული რაზმების დასახმარებლად, მათ წერილებით უკავშირდება, აძლევს რჩევა-დარიგებას და მიმართულებას. რაც მთავარია, ოპერაციის მოწყობა რედაქციას დაეხმარა უფრო მჭიდრო, უფრო ფართო კონტაქტები დაემყარებინა ნორჩ რადიომსმენელებთან. მიეღო მათგან საბჭოთა საქართველოს იუბილეასთან დაკავშირებული ძრავალფეროვანი მასალები. ოპერაცია „მზეში“ რედაქციას ხელი შეუწყო საიუბილეო სამზადისის გაშუქებაში.

ამ დღეებში რედაქცია შეაჯამებს ოპერაციის პირველი ეტაპის შედეგებს. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან პიონერთა საკავშირო ბანაკის „არტეკის“ საგზურებით, საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ოპერაცია „მზე“ კი გაგრძელდება. — მისი მომდევნო ეტაპი მიეძღვნება მეთერთმეტე ხუთწლედსა და პიონერული ორგანიზაციის ახალ ამოცანებს.

გ. ბახტაძე,
საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემების მთავარი რედაქციის რედაქტორი, პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს იდეურ-აღმზრდელობითი სექციის ხელმძღვანელი.

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კინომოყვარულთა სტუდიამ „პიონერფილმმა“ არსებობის ოცზე მეტი წლის მანძილზე მრავალი საინტერესო ფილმი გადაიღო.

სურათზე: იღებს „პიონერფილმი“. მარცხნივ — ნორჩი კინომოყვარულები დ. მეკრავიშვილი, დ. ფოცხვერაშვილი და რ. ცხვარაძე.

ს. კილაძის ფოტო.



საერთაშორისო დედამიწის ზურგზე ცხოვრება

საკლესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ

18 მაისი

ყრილობა დამთავრდა

დასავლეთი ბერლინი. **აქ მუშაობა დაამთავრა დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობამ.** დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს პარტიის გამგეობის საანგარიშო მოხსენება და მიიღეს ორი საპროგრამო დოკუმენტი — „დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის პრინციპები და მიზნები“ და „დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტია და 80-იანი წლების ამოცანები“. ამ დოკუმენტებში მოთხრობილია პარტიის საქმიანობის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პრინციპებზე, მის ერთგულებაზე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი, აგრეთვე დასახულია დასავლეთბერლინელ კომუნისტთა ამოცანები მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ახლანდელ ეტაპზე.

ყრილობამ მიიღო განცხადება, რომელშიც სოლიდარობა გამოუცხადა სალვადორის პატრიოტებს, მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ლათინური ამერიკის ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში.

არჩეულია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — გამგეობა და სარევიზიო კომისია. დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ჰორსტ შმიტი, მოადგილეებად)— დიტმარ არენსი და ინგე კოპი.

საკადრისი პასუხი პროვოკატორებს

ჰანოი. **ვიეტნამის შეიარაღებული ძალები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ჩინელ პროვოკატორებს, რომლებიც არღვევენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებს. ჩინური ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება ჩინეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს ლანგშონის პროვინციაში.**

მაისის დამდეგიდან აღინიშნება ჩინეთის პროვოკაციის გაძლიერება ვიეტნამის საზღვარზე. ინციდენტები მოხდა ბევრ საზღვრისპირა რაიონში. — 5 მაისს ჩინეთის ქვეგანაყოფებმა არტილერიის დახმარებით ხელთ იგდეს მაღლობი 400 ვიეტნამის ტერიტორიაზე, ხოლო 14 მაისს მძიმე ქვემეხთა ცეცხლი დაუშინეს ლანგშონის პროვინციის მთელ რიგ რაიონებს.

ᲐᲛᲝᲬᲧᲔᲓ

● **ლონდონი.** **როგორც ინგლისური გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“ იუწყება, ამა წლის 1 მაისიდან ეგვიპტემ შეამცირა ნავთობის ფასი, რომელსაც ისრაელს აწვდის, დაიყვანა იგი 33 დოლარამდე ბარელში (ერთი ბარელი უდრის 159 ლიტრს). ეს ამ უკანასკნელ თვეში ნავთობის ფასის უკვე მეორე შემცირებაა, რომელიც კაირომ განახორციელა ისრაელის მხარის თხოვნით, ხაზს უსვამს გაზეთი.**

● **იაუნდე.** **ლიბრევილში გამოქვეყნდა მოსახლეობის აღწერის შედეგები, რომელიც გაბონის რესპუბლიკაში ჩატარდა გასულ წელს. გაბონის მოსახლეობის რიცხვი 1980 წელს შეადგენდა 1 მილიონ 232 ათას კაცს.**

● **რიო-დე-ჟანეირო.** **ბრაზილიის ცენტრალურმა ბანკმა გამოაცხადა ეროვნული ფულადი ერთეულის მორიგი, მიმდინარე წლის მეცამეტე დევალვაცია. ამჯერად კრუზეირო ამერიკის დოლარის მიმართ გაუფასურდა 2 პროცენტზე მეტით. საერთოდ მიმდინარე წელს კრუზეიროს ფასი დაეცა 29,2 პროცენტით.**

სამხედრო პროკურორის მოთხოვნა

ანკარა. **ულტრამემარჯვენე ტერორისტებისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა — დაბრეტა მოითხოვა სამხედრო პროკურორმა სასამართლო პროცესზე, რომელიც ერზერუმში გაიხსნა.** დამნაშავეებს ბრალად ედებათ 1978 წელს ქ. სივასში რელიგიურ ნიადაგზე სისხლისმღვრელი შეტაკებების მოწყობა, რის შედეგადაც 11 კაცი დაიხოცა და ასზე მეტი დაშავდა. ორასამდე სხვა ბრალდებულს 5-დან 30 წლამდე პატიმრობა მოელის.

ამავე დროს აღიძრა საქმე ნაციონალისტური მოძრაობის ნეოფაშისტური პარტიის წინააღმდეგ, რომელიც პროკურორის აზრით, უშუალოდ არის გარეული სივასის ამბებში.

რომის პაპის ჯანმრთელობის მდგომარეობა

რომი. როგორც ექიმებმა განაცხადეს რომის პაპს იოანე პავლე მეორეს, რომელიც სერიოზულად დაჭრეს ამასწინანდელი თავდასხმის დროს, აწუხებს ძლიერი ტკივილები გადატანილი ოპერაციის შემდეგ. რომის პაპის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ აქ გავრცელებულ ბიულეტენში ნათქვამია, რომ მისი გამოჯანმრთელება დადებითად მიმდინარეობს.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲞᲘᲥᲖᲔ

ტოკიო. **ტრაგიკულად დასრულდა იაპონელ მთამსვლელთა ცდა დაელაშქრათ 7555 მეტრი სიმაღლის გონგის პიკი ჩინეთის სიჩუანის პროვინციაში. როგორც ჩინეთში იაპონის საელჩო იუწყება, ჰოკაიდოს მთამსვლელთა კლუბის 25-კაციანი ჯგუფიდან 8 სპორტსმენი დაიღუპა გონგის მწვერვალზე ასვლის დროს.**

ერთ-ერთ ყველაზე „ვერაგ“ მწვერვალზე ასვლისათვის მზადებისას, აღნიშნავენ ადგილობრივი სპორტული მიმომხილველები, მთამსვლელებმა არ გაითვალისწინეს ის, რომ გაზაფხულზე გონგის ფერდობები სახიფათო ხდება. ამ პერიოდში ექვსი ათას მეტრზე, როგორც წესი, წარმოიშვება ძლიერი ზვავები.

ᲡᲐᲛᲬᲔᲕᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. **ამსტერდამში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი (სხვათა შორის, იგი უკანასკნელად იმართება), რომელშიც მონაწილეობს ყველა ის 20 მოჭადრაკე, სხვადასხვა დროს ერთხელ მაინც რომ გაუმარჯვია წინა წლების ამავე ასპარეზობაში. 2 ტურის შემდეგ ორ-ორი ქულით ტურნირში დაწინაურდნენ იან ტიმანი (ჰოლანდია) და ვლასტიმილ ჰორტი (ჩეხოსლოვაკია). ტიმანმა სტარტზე დაამარცხა თანამემამულეები იან დონერი და ჰანს რეე, ხოლო ჰორტმა — მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი და დონერი.**

1,5-1,5 ქულა აქვთ სამ მოჭადრაკეს — ვასილ სმისლოვს (სსრ კავშირი), ენტონი მაილსს (დიდი ბრიტანეთი) და ლუბომირ კავალეკს (აშშ). მეორე ტურში კარპოვმა მოუგო ლუბომირ ლუბოევიჩს (იუგოსლავია).

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲘᲥᲘᲠᲝᲛᲐ. **მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორში გამართულ სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო ტურნირში წარმატებას მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის ფალავნებმა — ოქროს მედლები დაიმსახურეს თ. საჯაიამ (82 კგ) და რ. ხუტაბამ (მძიმე წონა).**

ᲤᲔᲚᲓᲒᲐᲠᲗᲘ. **თბილისში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე (იგი პირველად ეწყობა). ასპარეზობაში მონაწილეობს ექვსი გუნდი — იტალიის, კუბის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებები.**

ᲓᲘᲝᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘᲡ „ᲠᲐᲘᲜᲒᲝᲠᲜᲘᲡ“ ფინალური მატჩის ფურცლებზე მოეყარა ბევრი ადამიანი. ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ეს ფინალური მატჩი